პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 149 (10235) | შაბათი, 25 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

თბილისის სახ. ბიბლ. ბიბლ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა (1-ლი გვერდი).

პ. ჭიოკაძე — პარტიული ორგანიზაცია და წარმოების ეკონომიკის საკითხები (მე-2 გვერდი).

გ. მეფისაშვილი, დ. აგიაშვილი. — ახალი ტექნიკა სრული სიმძლავრით გამოვიყენოთ (მე-2 გვერდი).

მ. სტავნიცერი. — რევოლუციური არმიის ბირთვი (მე-2 გვერდი).

ა. მჭედლიშვილი, შ. გოძიაშვილი, ი. ქებურია. — სიღნაღის რაიონის დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების სამუშაო გეგმა (მე-3 გვერდი).

ა. ბრეგაძე — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი (მე-3 გვერდი).

ი. მელია. — სასარგებლო ბიბლიოთეკა (მე-3 გვერდი).

დარბაზობანი ვ. მ. მოლოტოვმა (მე-4 გვერდი).

გაერთიანებული ეროვნული ორგანიზაციის სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პატივსაცემად. (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მრეწველობის აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობა

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა სოციალისტური ინდუსტრიის ახალი ძლავრი აღმავლობის გადამწყვეტ პირობად დასახა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა უახლესი ტექნიკის დანერგვის ბაზაზე. თათბირზე აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენება, ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, არსებული საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობის თვითეული ერთეულის მიხედვით პროდუქციის გამოშვების გადიდების ამოცანა აუცილებლად მოითხოვს რაციონალიზატორული მუშაობის გაძლიერებას, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, საწარმოებისადმი კანცელარიულ-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის მეთოდების აღმოფხვრას.

თათბირმა მოუწოდა სამრეწველო საწარმოთა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს და მოსამსახურეებს ულმობელი ბრძოლა გამოუცხადონ რუტინას და დახავსებულობას, მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, რომ ახალი ტექნიკის დანერგვას თან ახლდეს შრომისა და წარმოების გაუმჯობესება, საწარმოთა მართვის მეთოდების სრულყოფა. ახალი ტექნიკის გამოყენება მარტო ამ პირობით იქნება შესაძლებელი.

საწარმოს მართვის მეთოდის გაუმჯობესება გულისხმობს იმას, რომ ზედველობიდან არ გამოგვრჩეს კოლექტივის მუშაობის არც ერთი მხარე, არც ერთი უბანი, რომ უზრუნველყოთ საწარმოს მართვა მთელი მისი კომპლექსის მიხედვით.

საწარმოს ასეთი მართვის უზრუნველყოფისათვის საჭიროა გვქონდეს მმართველობის მოქნილი აპარატი, რომელიც შეძლებს ცოცხალი საქმისათვის ხელის ჩაჭიდებას და მის წინ დაძვრას, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, აპარატი, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოს გამართულ, რიტმულ მუშაობას.

მმართველობის აპარატის გაუმჯობესებისათვის ამას წინათ მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა უაღრესად დადებითი შედეგები მოგვცა. რესპუბლიკის მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მკვეთრად შემცირდა ჩამორჩენილ საწარმოთა რიგი, გადაჭრით გააუმჯობესეს მუშაობა იმ საწარმოებმა, რომლებიც შარშან ჩამორჩებოდნენ, გეგმიურ დავალებებს თავს ვერ ართმევდნენ.

საწარმოს მართვა მთელი კომპლექსის მიხედვით ნიშნავს რიტმულ მუშაობას, პროდუქციის ხარისხის თანდათან გაუმჯობესებას, ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის ხელშეწყობას, ნედლეულისა და დამხმარე მასალების მომჭირნეობას, მაღალი საწარმოო კულტურის დანერგვას. საკმაოა მუშაობის ერთი რომელიმე უბნისადმი ყურადღების შენელება, რომ ეს უბანი ჩამორჩეს, რიტმი ჩაიფუშოს. ამის საილუსტრაციო მაგალითი მოგვცა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატმა. მუშაობის ყველა უბანზე სამაგალითო მაჩვენებლებთან ერთად ამ კომბინატში შეანელეს ყურადღება ისეთი თითქოს წვრილმანისადმი, როგორიც არის შიდასაფაბრიკო დაგეგმვა, ცალკე უბნების გარდამავალი ნახევარფაბრიკატებით მომარაგების უზრუნველყოფა. ყურადღების ასეთი შენელების შედეგად უკანასკნელ თვეებში დაირღვა რიტმი, ჩაიფუშა პროდუქციის საღღეღამისო გრაფიკი, დამკვიდრდა იერიშობანა, კვეთებით მუშაობა. მაისის პირველ დეკადაში კომბინატი დღეღამეში გვაძლევდა 6.800 მეტრ ქსოვილს, მეორე დეკადაში — 9.100 მეტრს, ხოლო მესამე დეკადაში — 14.700 მეტრს, ანუ ორჯერ და უფრო მეტს, ვიდრე პირველ დეკადაში.

მრეწველობის ორგანიზაციის ნაკლოვანებანი — არარიტმული მუშაობა, ადგილობრივი რეზერვების უგულებელყოფა, ხედლეულისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში ხელგაშლილობა თავს იჩენენ საწარმოთა მართვის სტრუქტურაში. ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახლა ჩვენი მრეწველობის მუშაკებისაგან მოითხოვენ მრეწველობისადმი კანცელარიულ-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის სტილის აღკვეთას, მმართველობის აპარატის გამარტივებას და გაუმჯობესებას.

კარგი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ, რომელმაც მმართველობის სტრუქტურის გასამარტივებლად და საწარმოებთან სამეურნეო ხელმძღვანელობის დასაახლოებლად გააუქმა ზედმეტი შუალედი საფეხური — ტრესტები. მმართველობის სტრუქტურის გამარტივება და წარმოებასთან დაახლოება ამოცანად უნდა დაისახოს ყველა სხვა სამრეწველო სამინისტრომ. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

რესპუბლიკაში მოგვეპოვება მრავალი საშუალო და პატარა საწარმო გაბერილი სამმართველო შტატებით. ამ საწარმოთა მართვის სტრუქტურა არსებითად არ განსხვავდება დიდი საწარმოების მართვის სტრუქტურისაგან. თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხანაში სამმართველო აპარატის ერთ მუშაკზე მოდის წარმოების ორი მუშა. ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანაში, რომელიც, უნდა ითქვას, ცუდად არ მუშაობს, სულ 79 მუშაა, ხოლო ინჟინერ-ტექნიკოსთა და სამმართველო აპარატის სხვა მუშაკთა რაოდენობა 45 კაცს შეადგენს. ცხადია, ასეთი გაბერილი აპარატის შენახვის ხარჯი ზედმეტ სიმძიმედ აწვება პროდუქციის თვითღირებულებას.

თბილისში კ. ცეტკინის ქ. № 152 მოთავსებულია საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სამი საწარმო—უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, ნახშირმჟავას ქარხანა და ლუდის გამოსახდელად საჭირო ალაოს საწარმო. ყველა ამ საწარმოს საკუთარი შტატი ჰყავს, თუმცა გაცილებით მიზანშეწონილი იქნებოდა სამივე საწარმოს მმართველობის აპარატის გაერთიანება, რაც სახელმწიფოს გარკვეულ ეკონომიას მისცემდა და თან ამ საწარმოებისადმი ხელმძღვანელობას ბევრად გააუმჯობესებდა.

საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მართვის სტრუქტურის გამარტივება, წვრილი საამქროებისა და უბნების გამსხვილება, რესპუბლიკურ სამინისტროებსა და საწარმოებს შორის მართვის ზედმეტი რგოლების ლიკვიდაცია ხელს შეუწყობს ახალი ტექნიკის დანერგვას და წარმოების, ორგანიზაციის გაუმჯობესებას, ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას.

ეს სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის და კვერცხის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულება

ასპინძის, გარდაბნის, გარეუბნის, დმანისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, წითელწყაროს, ცაგერის და წყალტუბოს რაიონებმა ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა.

პარტიისა და მთავრობის მოწოდებით— კოლმეურნეობებში სამუშაოდ

ამ დღეებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში შედგა საკოლმეურნეო წარმოების მომავალ ხელმძღვანელთა სამკვირიანი კურსების მეორე ნაკადის მსმენელთა გამოშვებისადმი მიძღვნილი კრება, რომელიც გახსნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა დოც. კ. თარგამაძემ.

სიტყვით გამოვიდა კურსების ხელმძღვანელი დოცენტი ი. ჩხარტიშვილი. — კურსების მსმენელები, — ამბობს იგი, — გაეცნენ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის უახლეს მიღწევებს, რითაც უფრო გაღრმავეს ცოდნა საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში. მოეწყო ექსკურსია გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზებულ ფერმაში, აგრეთვე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში და სხვ.

კურსდამთავრებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვეს ვ. ხახნელიძემ, ა. მაჭარაშვილმა, პ. ცხოვრებოვმა, ს. ამიჩბამ და ე. წილოსანმა. — მივდივართ სოფლად მუდმივ სამუშაოდ, — განაცხადეს მათ. — კარგად გვესმის, რომ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე ცოტა სიძნელე როდი შეგვხვდება, მაგრამ საბჭოთა ადამიანები სიძნელეებს არ გაურბიან. ჩვენ დავძლევთ ამ სიძნელეებს.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. მ. გიორგაძე.

ამ დღეებში კურსდამთავრებულები სტაჟის გასაელელად წავლენ კოლმეურნეობებში.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

მინსკი. (საკდესი). მდინარე სვისლოჩის საწყაპარო კიდევ ერთი შენობით დამშვენდა. უჩვეულოა მისი შიდანაწილის დაგეგმვა და მოწყობა. ორი დარბაზის კედლები ეკრანიზებულია. აქ წარმოებს უახლესი სატელევიზიო მოწყობილობის მონტაჟი. სატელევიზიო ცენტრის პირველი რიგი მწყობრში ჩადგება ივლისის დამდეგს.

წელს მინსკში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა აგებას უდიდესი გაქანება მიეცა. ცენტრალურ მოედანზე აგებულია პროფკავშირთა სასახლის მონუმენტური შენობა. ხარაჩოებშია კონსერვატორიის, სურათების გალერეის, მოზარდ მაყურებლის თეატრის, ორი კინოთეატრისა და ხუთი ბიბლიოთეკის შენობები.

ამავამად მინსკში ერთიორად მეტი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ვიდრე ხუთწლედის დასაწყისში იყო.

სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა

ტალინი. (საკდესი). ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში მთავრდება რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მშენებლობა. ეს საწარმო წელიწადში გამოუშვებს 6.000 ტონა რკინაბეტონის კონსტრუქციებს.

საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქში სამრეწველო საწარმოთა დიდი მშენებლობაა. თითქმის ზედ ტალინის ბუხტთან აღმართულა ომისშემდგომ წლებში აღდგენილი ბამბეულის კომბინატის „ბალტიის მანუფაქტურის“ მრავალსართულიანი კორპუსები. ომამდელ დროსთან შედარებით პროდუქციის გამოშვება კომბინატში ერთნახევარჯერ და მეტით გადიდდა.

ბევრი ახალი შენობა აიგო ელექტრომბრაგნათმშენებელი ქარხნის „ვოლტას“ ვრცელ ტერიტორიაზე. ამ საწარმომ 1953 წელთან შედარებით, მაგალითად, ათ კილოვატამდე ძრავების გამოშვება ერთნახევარჯერ გაადიდა.

რესპუბლიკაში შეიქმნა ესტონეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარემონტო ქარხანა, რომელიც უშვებს უნივერსალურ შიგასახარატო ჩარხებს და მანქანების დეტალებს. ახალი საწარმოა აგრეთვე სავაჭრო მოწყობილობის ქარხანა.

ამჟამად ქალაქის ყველა კუთხეში მოჩანს ახალშენებათა ხარაჩოები. მწყობრში მალე ჩადგება ორი აგურის ქარხანა. ისინი ქალაქის მშენებლობებს მისცემენ 85 მილიონამდე ცალ აგურს წელიწადში. აგებულია საკონდიტრო ფაბრიკა „ალეევის“ შენობა. შენდება ავტომობილრემონტო ქარხნის შენობა, ბალტიისპირეთში უდიდესი სამკერვალო კომბინატის ხუთსართულიანი კორპუსი, მეფრინველეობის ფაბრიკა.

მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

21-22 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების გაერთიანებული სხდომა მთელი რიგი კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაკთა მონაწილეობით.

მეცნიერებმა სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან ერთად განიხილეს მოსავლის აღების ორგანიზაციის საუკეთესო ხერხები, რომლებიც თავიდან გვაშორებენ დანაკარგებს მარცვლის მკის, გადაზიდვისა და შენახვის დროს.

სხდომაზე მიღებულია წინადადებანი, რომელთა მიზანია წელს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება მოეწყოს მოკლე ვადაში, რაც მარცვლეულის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა იქნება. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მანქანების სრულად დატვირთვა, მუშაობა ორ ცვლად და სულ ცოტა 20 საათს დღეღამეში, შემოსული პურის ერთ მასივზე კომბაინით აღების ჯგუფური მეთოდის ფართოდ გავრცელება და არა მარტო მისაბმელი, არამედ აგრეთვე თვითმავალი კომბაინების გაუჩერებლივ გადმოტვირთვა. კომბაინერებმა შეიტანეს მთელი რიგი წინადადებანი მოსავლის ასაღები მანქანების ცალკეული დეტალების გაუმჯობესების შესახებ.

განხილულ იქნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონაში უხვმოსავლიანი, დაბალი და ჩაწოლილი პურის აღების ყველაზე ეფექტიანი ხერხები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მანქანების ტექნიკურ მოვლას და მოსავლის აღების ხარისხისადმი მაღალკვალიფიციურ კონტროლს. (საკდესი).

მეცნიერთა ძვირფასი შრომა

ფრუნზე. (საკდესი). გიზგიზებს ელექტროსადგურების ქვაბების საცეცხლურებში მცხუნვარე ალი. ქვანახშირი იწვის და უზრუნველყოფს მძლავრი ძალის გამომუშავებას, რომელიც ამოძრავებს მანქანებს, „იძლევა სინათლეს. მაგრამ სადგურებში იყენებენ მხოლოდ იმის მეოთხედს, რასაც მაგარი სათბობი შეიცავს. დანარჩენი კი დაწვისას საკვამურში ადის და ნარჩენად იქცევა.

შუა აზიის ქვანახშირების ყველაზე ეფექტიანი გამოყენების საკითხებს მიუძღვნა თავისი შრომა ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბოენერგეტიკის ლაბორატორიის კოლექტივმა. გამორკვეულია ბევრი ადგილობრივი ქვანახშირის ვარგისობა მათი კომპლექსური გადამუშავებისათვის. ქვანახშირისაგან სპეციალური დანადგარებით იღებენ მაღალკალორიულ გაზსა და სხვა ქიმიურ პროდუქტებს, მტვრისებრ ნახევარკოქსს, რომელიც ელექტროსადგურების სათბობად იხარჯება. სათბობის გამოყენების კოეფიციენტი თითქმის ერთისამად დიდდება.

ლაბორატორიაში მიმდინარეობს მუშაობა სათბობის ჩქაროსნული გადამუშავებისათვის. განუწყვეტელი მოქმედების დანადგარით ქვანახშირებისაგან მიღებულია მაღალკალორიული გაზი, რომელიც ვარგისია საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის. მომზადებულია ტექნიკური მონაცემები გაზთბოენერგოკომბინატის დასაპროექტებლად.

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონა მეცნიერთა წინადადება პირველი ასეთი საწარმოს მშენებლობის შესახებ. ფრუნზეს თბოგაზენერგოკომბინატი შესაძლებელს გახდის კომპლექსურად გადაიჭრას გაზიფიკაციისა და თბოფიკაციის საკითხები, აგრეთვე რესპუბლიკის სწრაფად მზარდი დედაქალაქის ელექტროენერგიით მომარაგების გადიდების პრობლემები.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება

20 ივნისისათვის რესპუბლიკაში თავთავიანი კულტურების მოსავალი აღებული იყო 5.672 ჰექტარზე. სიღნაღის რაიონში მოკილია 1.427 ჰექტარი, წითელწყაროს — 1.607, ლაგოდეხის — 781, გარდაბნის — 597, ყვარლის — 471, გურჯაანის — 247, კაჩრეთის — 231, გარეუბნის — 104, მარნეულის — 131, ბოლნისის — 45, თეთრი წყაროს — 31 ჰექტარი.

მკა ბოლნისის რაიონში

ბოლნისი. (საკდესი). თამარისისა და ბოლნისის მტს-ების მექანიზატორებმა ქერის აღება დაიწყეს სოფელ არახლოს კოლმეურნეობა „კომუნიზმში“ და დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

მ. ღამბაროვმა ორ დღეში „სტალინეც-6“ კომბაინით კოლმეურნეობა „კომუნიზმში“ მოკა 41 ჰექტარი ქერი და თვითეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი ქერი გალეწა.

მ. ღამბაროვის კომბაინის აგრეგატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ყოველდღე აიღოს 25 ჰექტარი და გალეწოს სულ ცოტა 19 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე.

ჰექტარზე 34 ცენტნერი ქერი

ცხარე მუშაობის დღეებია გარეუბნის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებში. თავთავიანი კულტურების უხვ მოსავალს იღებენ. სოფელ კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ვრცელი მინდვრების მაღალ ყანებში პირველი გავიდა არჩილ ავეტიკოვის კომბაინი; კომბაინერი ხედავს ისე ოსტატურად მართავს, რომ ქერი ათ სანტიმეტრზე ზევით არ იჭრება.

ავეტიკოვის აგრეგატმა ერთ დღეს 15 ჰექტარზე აიღო მოსავალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. კოლმეურნეები ძლივს ასწრებენ გალეწილი მარცვლის გატანას. კომბაინის მუშაობის პროცესში ხდება ბუნკერებიდან მარცვლის დაცლა. ყოველ ჰექტარზე — 34 ცენტნერი ქერი! ასეთი უხვი მოსავალი გარეუბნის რაიონში მოხუცებსაც კი არ ახსოვთ.

სიმინდის პირველ თოხნაში ჩამორჩენილნი

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სიმინდის პირველი თოხნა. 20 ივნისისათვის ეს დავალება რესპუბლიკაში შესრულებულია 68,8 პროცენტით.

ახალქალაქის რაიონში სიმინდის პირველი თოხნის დავალება შესრულებულია 41,6 პროცენტით, ბოგდანოვკის — 9,1, ადიგენის — 63,3, წალკის — 7,5, დუშეთის — 69,6, თეთრი წყაროს — 68,9, თიანეთის — 16,4, გარეუბნის — 61,5, აბაშის — 36,6, ცხაკაიის — 45,6, ხობის — 64,8, ლანჩხუთის — 55,9, ქუთაისის —68,9, წყალტუბოს — 65,6, სამტრედიის — 46,8, ვანის — 58,3, მაიაკოვსკის — 63,8, ზესტაფონის — 61,1, თერჯოლის — 68,2, საჩხერის — 69,9, ორჯონიკიძის — 67, ტყიბულის — 29,1, ონის — 31,7, ლენტეხის რაიონში — 64,1, ფოთში — 62,1 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 29,9, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 64 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

1955 წლის 20 ივნისისათვის

ხორცი

წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს:		ჩამორჩებიან:	
		ადიგენის	რაიონი
სამხრეთ ოსეთის		ახალქალაქის	„
ავტ. ოლქმა		ახმეტის	„
ახალციხის	რაიონმა	ბოგდანოვკის	„
გურჯაანის	„	თეთრი წყაროს	„
თელავის	„	კასპის	„
მარნეულის	„	უაზბეგის	„
ქარელის	„	საჩხერის	„
ყვარლის	„	ტყიბულის	„
ზუგდიდის	„		
ლანჩხუთის	„		
მახარაძის	„		
სამტრედიის	„		
ქუთაისის	„		
წულუკიძის	„		

რძე

წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს:		ჩამორჩებიან:	
		ფოთი	
ბოგდანოვკის	რაიონმა	ადიგენის	რაიონი
ბოლნისის	„	ახმეტის	„
გორის	„	დუშეთის	„
გურჯაანის	„	კასპის	„
თეთრი წყაროს	„	უაზბეგის	„
მარნეულის	„	საშურის	„
სიღნაღის	„	ზესტაფონის	„
ყვარლის	„	ზუგდიდის	„
ლანჩხუთის	„	ლენტეხის	„
		მაიაკოვსკის	„
		ონის	„
		ჩოხატაურის	„
		ცხაკაიის	„
		ჭიათურის	„
		ხობის	„

კვერცხი

წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს:		ჩამორჩებიან:	
		სამხრეთ ოსეთის	
აფხაზეთის ასსრ		ავტონომიური ოლქი	
ადიგენის	რაიონმა	ფოთი	
ახალქალაქის	„	ახმეტის	რაიონი
ახალციხის	„	გურჯაანის	„
ბოგდანოვკის	„	მცხეთის	„
ბოლნისის	„	გეგეჭკორის	„
ბორჯომის	„	ზესტაფონის	„
თეთრი წყაროს	„	ზუგდიდის	„
თიანეთის	„	თერჯოლის	„
		ორჯონიკიძის	„
		საჩხერის	„
		ჩხოროწყუს	„
		ხობის	„
		ჭიათურის	„

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 21 ივნისის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით ფოთლისა	
		ოვნისსა
ბათუმის	42,1	54,3
ქობულეთის	44,5	78,1
ქედის	22,5	50,0
სულ აჭარაში	**43,9**	**71,8**
გალის	37,2	58,8
ოჩამჩირის	39,9	59,1
გულრიფშის	37,0	42,4
სოხუმის	47,1	103,7
გუდაუთის	50,4	113,9
სულ აფხაზეთში	**39,5**	**64,1**
მახარაძის	47,9	84,6
ჩოხატაურის	48,6	66,7
ლანჩხუთის	43,8	64,7
სამტრედიის	45,1	60,0
წულუკიძის	43,2	45,9
ქუთაისის	52,8	78,8
წყალტუბოს	41,6	44,9
ტყიბულის	57,1	140,9
ცხაკაიის	42,9	61,5
აბაშის	42,5	56,9
გეგეჭკორის	43,9	68,1
ზუგდიდის	37,9	72,2
წალენჯიხის	38,8	82,4
ჩხოროწყუს	40,0	48,0
ხობის	45,8	55,2
თერჯოლის	72,1	60,0
ზესტაფონის	67,6	46,0
ჭიათურის	56,0	80,0
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	**48,2**	**72,2**

შენიშვნა: ჩაის კრეფის მაისის გეგმის შესრულებას დააკლეს: ქედის რაიონმა 0,7 ტონა, გალის — 174,2 ტონა, ზუგდიდის — 420,1, და წალენჯიხის რაიონმა — 234,7 ტონა.

მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების ცნობები არასრულია.



სურათებზე: 1. კომბაინერ ს. ბუთიაშვილის აგრეგატი ხორბალს იღებს ყვარლის რაიონის ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში. აგრეგატი დღეში 20 ჰექტარს მკის და თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერ ხორბალს ლეწავს. ს. ბუთიაშვილმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ახმეტის მტს-ის კომბაინერი ს. რამაზაშვილი. (მარცხნივ კუთხეში) ს. ბუთიაშვილი. 2. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე ხორბალს ამზადებენ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია და წარმოების ეკონომიკის საკითხები

ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა შარშან არარენტაბელურად იმუშავა. გამოუყენებელი იყო საწარმოს რეზერვები, მოუწესრიგებელი იყო შრომა. სანგრევები არ მზადდებოდა წესიერად, მექანიზმები მხოლოდ სანახევროდ იყო დატვირთული, ყარიათიანად არ იხარჯებოდა სამაგრი მასალა, ელექტროენერგია, ნაკლები ყურადღება ექცეოდა სანგრევებში მარგანეცის პირველად გაუხვებას, ხოლო გამაუხვებელ ფაბრიკებში ახალი ტექნიკის დანერგვას და ტექნო.-ლოგიური პროცესების გაუმჯობესებას. სუსტად ზრუნავდნენ მოწინავეთა გამოცდილების დასანერგავად და წარმოების რაციონალიზატორებისადმი დასახმარებლად. ამ ნაკლოვანებებმა გამოიწვია მაღაროს კოლექტივის ჩამორჩენა. სასაქონლო მარგანეცის გამოშვების 1954 წლის დავალება მხოლოდ 93 პროცენტით შესრულდა. ცხრა უბნიდან წლიური გეგმა მხოლოდ ერთმა — მეშვიდე უბანმა შეასრულა, პროდუქციის თვითღირებულება 10,6 პროცენტით გაძვირდა და ზარალმა 2.875.000 მანეთი შეადგინა.

მაღაროს პარტიული ორგანიზაცია ამ მდგომარეობას, ცხადია, ვერ შეუერიგდებოდა. მუშაობის ეს მტკივნეული საკითხები კომუნისტთა მსჯელობის საგანი გახდა. საკითხი საფუძვლიანად მომზადდა. მასში მონაწილეობდნენ მუშები, ინჟინრები, საფინანსო-ეკონომიური დარგის მუშაკები. პარტიულმა კრებამ მოისმინა მაღაროს დირექტორის ლ. გოშხოთელიანის მოხსენება. მან დაწვრილებით ილაპარაკა გასული წლის შედეგებსა და ახალი წლის ამოცანებზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმა შ. ლომინაძემ, ბ. ცუხიშვილმა, ა. ჯელაშვილმა, გ. მაქაძემ, ი. თადუმაძემ, დ. მეტონიძემ და სხვებმა. მათ ანალიზი გაუკეთეს მაღაროს მუშაობას, გამოაძღავნეს ჩამორჩენის მიზეზები, წამოაყენეს წინადადებები, დასახეს მეტი მარგანეცისათვის ბრძოლის გზები.

პარტიულმა კრებამ მოფიქრებული, კონკრეტული და საქმიანი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის განხორციელებისათვის მაღაროს მთელი კოლექტივი დაირაზმა. მეშვიდე გვირაბის პირველ საზიდში გაიყვანეს საელმავლო გზა. მაღაროს ტრანსპორტს დაემატა ორი ელმავალი, მეშვიდე გვირაბისათვის დამატებით დაიდგა 40-კუბმეტრიანი კომპრესორი, მეცხრე უბანში დაიწყო ბრემსბერგის გაყვანა, მეშვიდე უბანში დაიდგა სტაციონარული ჯალამბარი, გაიზარდა სამთო მექანიზმების წარმადობა.

მეშვიდე გვირაბში მოიპოვება ეგრეთწოდებული „მწვარი“, რომლის გამოტანა წინათ არ ხერხდებოდა და იკარგებოდა. პარტიული კრების დადგენილებით მეშვიდე გვირაბი რკინიგზის ხაზით შეუერთდა № 24 მაღაროს, რომელსაც საჰაერო-საბაგირო გზა აქვს. ახლა ამ გზით „მწვარი“ გამოაქვთ № 24 მაღაროდან, საიდანაც იგი ჩვეულებრივ მადანთან ერთად სასაქონლო პროდუქციაში მიდის. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა სასაქონლო მარგანეცის დამზადება.

გამაუხვებელ ფაბრიკაში დაიდგა ტექნიკურად გაუმჯობესებული ცხრილები და მადნის მეორედ გამრეცხი აპარატი, რითაც მნიშვნელოვნად ამაღლდა მარგანეცის ხარისხი.

პარტიული ორგანიზაცია, მაღაროელი კომუნისტები ამით როდი დაკმაყოფილდნენ. მათ სპეციალური მსჯელობის საგნად გახადეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გადიდების, მექანიზმების უკეთ გამოყენების, მაღაროს ფინანსური მდგომარეობის, ცალკეული უბნების მუშაობის საკითხები.

შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში მაღაროელებს დიდად ეხმარება სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი, რომელსაც მაღაროს დირექტორი ლ. გოშხოთელიანი ხელმძღვანელობს. სემინარის მონაწილეები — ეკონომისტი დ. კიკნაძე, უფროსი ნორმადარი გ. ხვედელიძე, ინჟინრები ვ. წერეთელი და ა. ისაკაძე, უბნების გამგეები ა. კაპანაძე, ბ. სამხარაძე და სხვები ხშირად გამოდიან რეფერატებით შემდეგ თემებზე: „შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორები“, „თვითღირებულების შემცირების წყაროები“, „სოციალისტური დაგეგმვის მნიშვნელობა“ და სხვ.

შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულებისა და მადნის ხარისხის საკითხებს სისტემატურად მიუძღვნიან თავიანთ საუბრებს აგიტატორები ბ. ჩხეიძე, გ. გაფრინდაშვილი, ღ. აბაშიძე, რ. ცუცქირიძე.

მაღაროს კოლექტივმა კომუნისტების ხელმძღვანელობითა და თაოსნობით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, გეგმის შესრულების ყველა მაჩვენებელი განუხრელად იზრდება. საკმარისია ითქვას, რომ აპრილის დავალება მაღაროომ შეასრულა 111 პროცენტით, პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვებისა — 112,8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდისა — 113 პროცენტით, ხოლო თვითღირებულების შემცირებით უკანასკნელ სამ თვეში 380.800 მანეთი დაზოგა. მაღაროს კოლექტივი კიდევ უფრო კარგად მუშაობდა მაისში, წარმატება აქვს ივნისშიც.

მაგრამ მაღაროს კოლექტივს ყველა რეზერვი და შესაძლებლობა ჯერ კიდევ არა აქვს გამოყენებული. პარტიული ორგანიზაციის ვალია სათავეში ჩაუდგეს მაღაროელთა შემოქმედებითს თაოსნობას, განამტკიცოს და გაღრმავოს მოპოვებული წარმატებანი, უზრუნველყოს გეგმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულება.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ცხაკაიას რაიონში

მოწინავე მეცხოველის წარმატებანი

შხეფის კოლმეურნეობაში სახელი გაითქვა კოლმეურნე მეცხოველემ კლიმენტი სახოკიამ. შარშან მან გადაჭარბებით შეასრულა მოსავლელად მიჩენილი პირუტყვის პროდუქტიულობის დავალება. წელს ექვსი ძროხიდან, რომლებსაც იგი უვლის, უკვე მიიღო 6 ათასამდე ლიტრი რძე, წლიური დავალება კი 7.500 ლიტრის მიღებას ითვალისწინებს. თვითეული მისი ძროხის წველადობა უკვე შეადგენს ათასზე მეტ ლიტრს, რაც ბევრად აღემატება საშუალო რაიონულ მაჩვენებელს.

ახალი სასოფლო კლუბ-სამკითხველო

სოფელ ძველ სენაკში რეკონსტრუირებულ იქნა კლუბ-სამკითხველოს ძველი შენობა. ამჟამად მას აქვს დარაზი 200 მაყურებლისათვის, სცენა, სამკითხველო ოთახი. სოფლის მშრომელები საღამოობით კლუბ-სამკითხველოს ხშირი სტუმრები არიან.

პირველ ადგილზე ხუთ რაიონს შორის

ზუგდიდში მოეწყო მახარაძის, სამტრედიის, მესტიის, ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიონების მძლეოსანთა გუნდების ასპარეზობა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. 121 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა ცხაკაიას რაიონის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა მახარაძის რაიონის გუნდი, მესამეზე — მესტიის რაიონის მძლეოსნები. შეჯიბრებას ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოიელი.

ქალაქის კეთილმოწყობა

მიმდინარე წს მთელი რიგი სამუშაოები ქალაქის კეთილმოსაწყობად. დაიწყო ქალაქის ცენტრალური ქუჩების მოასფალტება, ნაწილის მოკირწყვლა. გაზონებს შეემატა ახალი ნარგავები და ყვავილნარები.

გ. მილიუტინი.

მოძრავი ბიბლიოთეკები მეცხოველეებს

მესტია. (საკ. კორ.). რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკები დიდ დახმარებას უწევენ მეცხოველეობის ფერმების მუშაკებს ახალი მხატვრული და პოლიტიკური წიგნების მიწოდებით.

ამ დღეებში სოფლების ბეჩოს, მულახის, კალის, იფარის და სხვა სოფლების ბიბლიოთეკებიდან მეცხოველეთათვის მთებში გაიგზავნა მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ბროშურები და ჟურნალ-გაზეთები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კოლმეურნეობებს საშუალო განათლების სპეციალისტები აკლიათ“

„კომუნისტის“ 28 მაისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც თხოულობდნენ თელავში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გახსნას.

როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გვატყობინებს, გათვალისწინებულია თელავის რაიონში გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ახალი ტექნიკა სრული სიმძლავრით გამოვიყენოთ

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა წელს მნიშვნელოვნად გააძლიერა მუშაობა საწარმოო დავალებების მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის. გადამეტებით არის განაღდებული ავტომობილების, ძრავებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვების დავალებები. ავტომობილმშენებლებმა წელს ოთხ თვეში შრომის ნაყოფიერება 6 პროცენტით გაადიდეს და თვითღირებულების შემცირებით ერთი მილიონი მანეთი დაზოგეს.

ქარხანაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებით განსაკუთრებით გამოირჩევიან სიჩქარეთა კოლოფის, ძრავის, ავტომატების და მთელი რიგი სხვა საამქროები.

საწარმოს წინსვლას სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი ახალი დეტალების ათვისებამ და მოწინავე სპეცთა ტექნიკის დანერგვაში მოპოვებულმა წარმატებებმა. წელს მთლიანად არის ათვისებული საჭის მართვის მექანიზმი. სამეოდლო საამქროში შეუდგნენ ათი ახალი დეტალის გამოშვებას და ა. შ.

შასის საამქროში ინჟინერ-ტექნოლოგ რ. ქარცივაძის ინიციატივით განხორციელდა ჯვართვას გვერდების მთლიანი ხეხვა. წინათ ამ დეტალის ნაწილების ხეხვა ცალცალკე ხდებოდა. ახალგაზრდა სპეციალისტმა შექმნა სპეციალური სამარჯვი, რომლის საშუალებით ახლა ყველა დეტალი ერთად მუშავდება.

სიჩქარეთა კოლოფის საამქროს შეემატა ერთშესავლიანი ჭიამღარავები. ამან რამდენიმე კბილანსატეხი ჩარხი გაათავისუფლა და ორჯერ გაზარდა წარმადობა.

მაგრამ მოწინავე ტექნიკის დანერგვისა და ახალი დეტალების ათვისებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ცილინდრების ბლოკის ჩამოსხმა გასულ წელს უნდა ათვისებინათ. სამჯერ გადადვეს მისი შესრულების ვადა და საქმე ჯერაც შესამჩნევად არ წასულა წინ. საჭიროა ქუთაისის ქარხნის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, პირველ რიგში რუხი თუჯის საამქროს დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს.

თავის დროზე ინჟინერმა ა. ჯაყელმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა: დანადგართა წარმადობის გასადიდებლად შემოიღო დეტალების ჯგუფურად და ნაკადურად დამუშავების მეთოდი, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდ შესაძლებლობებს იძლევა. ამასთან ათავისუფლებს ჩარხებს სხვა დეტალების დასამუშავებლად და იძლევა ელექტროენერგიის საგრძნობ ეკონომიას.

მაგალითად, წინა და უკანა მუხრუჭების მარეგულირებელ ბერკეტთა კორპუსების ჯგუფური ნაკადით დამუშავება მარტო ერთი ოპერაციის შესრულებით ათავისუფლებს ერთ ვერტიკალურ საბურღავ ჩარხს და ამასთან 60 პროცენტით ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ასევეა ხელის მუხრუჭების დამუშავება. ხელის მუხრუჭთა ბერკეტების დასამუშავებლად ახლა რვა ჩარხია განკუთვნილი. ჯგუფური ნაკადით დამუშავების დროს შეიძლება განთავისუფლდეს ერთი ჰორიზონტალური საღარავი და ორი ვერტიკალური საბურღავი ჩარხი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ინჟინერ ა. ჯაყელის წამოწყებამ ქარხნის ხელმძღვანელებს შორის სათანადო მზარდაჭერა ვერ ჰპოვა.

მოსკოვის, გორკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ საავტომობილო ქარხნებში შემოღებულია კბილანების ბურღვის ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგია. ასეთი ტექნოლოგია ათავისუფლებს საბურღავ ჩარხებს და, გარდა ამისა, ამცირებს ოპერაციათა რაოდენობას. ამასთან გვაძლევს ელექტროენერგიისა და მჭრელი იარაღების საგრძნობ ეკონომიას. ქარხნის მთავარი მეტალურგის აპარატის მუშაკები კი ასეთი სიახლის დანერგვისათვის თავს როდი იწუხებენ.

ბევრგან უნარიანად ვერ იყენებენ ძვირფას მოწყობილობას. მაგალითად, შასის საამქროში ორსაჩარხავიანი ჩარხი იმის გამო, რომ ერთერთი მისი სამარჯვი ვერ დაამზადეს, ორ წელზე მეტია გამცდარია. ამ ჩარხის გაშვება კი ხუთჯერ და უფრო მეტად გაზრდიდა მასზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერებას. სიჩქარეთა კოლოფის საამქროში თუჯის დეტალების დასამუშავებელ უბანზე წელიწადზე მეტია უმოძრაოდ დგას უნივერსალური ჩარხი. ამის გამო დეტალების დამუშავებას აწარმოებენ სხვა სახარატო დანადგარებზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის თვითღირებულებას.

მრავალი სხვა მაგალითის დასახელებაც შეიძლებოდა იმის დასადასტურებლად, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მოწინავე ტექნიკის გამოყენებას ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ქარხნის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოს წარმოებაში ახალის, პროგრესულის მტკიცედ დანერგვა.

გ. მეფისაშვილი,
დ. აგიაშვილი.

ტყიბულელ მეშახტეთა ახალი მიღწევები

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეებმა დიდი წარმატებით გააჩაღეს ბრძოლა თავიანთი დღესასწაულის — მეშახტის დღის აღსანიშნავად ახალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის. მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში დაწინაურდა ლენინის შახტის კოლექტივი, რომელმაც 19 ივნისს პირველ ცვლაში გაანაღდა ქვანახშირის ამოღების ეძვსი თვის დავალება და ივლისის ანგარიშში უკვე მოგვცა მრავალი ასი ტონა პროდუქცია. შახტში დაწინაურდნენ უბნები, რომლებსაც ა. კობახიძე, ვ. პატარიძე, ლ. ვაშაკიძე და ო. მამარდაშვილი ხელმძღვანელობენ.

ეროვნული ფიზიკოსები

წერილები ადგილიდან

საქონლის მომწოდებლების „შეცდომები“

თელავის რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებს დიდძალი საქონელი მოაქვთ თბილისიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან. უმეტეს შემთხვევაში მიღებული საქონელი მაღალი ხარისხისაა. მაგრამ ზოგიერთი მომწოდებელი ორგანიზაციის მიმართ საყვედურსა და გულისწყრომას გამოთქვამენ თელავის სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები იმის გამო, რომ ხშირია დანაკლისი, საქონლის გამოგზავნისას „შეცდომები“ მოსდით ხარისხის შეფასებაშიც.

საქვაჭრობის თელავის განყოფილებამ გასული წლის ნოემბერში „გლავტორგოდეედისაგან“ ტრიკოტაჟის ნაწარმი მიიღო. ყუთში უნდა ყოფილიყო მამაკაცის 40 ცალი ქეედა საცვალი (არტიკული № 503). ფაქტიურად ყუთში აღმოჩნდა 30 ცალი.

მომდინარე წლის 29 აპრილს იმავე განყოფილებამ მიიღო თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის გამსაღებელი ხაზის მიერ გამოგზავნილი ფეხსაცმელი. ყუთში ბავშვის ასი წყვილი ფეხსაცმლის ნაცვლად აღმოჩნდა 94 წყვილი.

„გლავობუტორგიდან“ 6 აპრილს თელავში მოვიდა რეზინის ფეხსაცმელი. საბუთებში აღნიშნული იყო — საქონელი პირველი ხარისხისაა, სინამდვილეში კი მეორე ხარისხის აღმოჩნდა. დაბალ ხარისხში გადაყვანით გამოწვეულმა სხვაობამ 372 მანეთი შეადგინა.

მსგავსი მაგალითები ბევრია. ხშირად საქონლის მიმწოდებლები დანაშაულს სჩადიან. დგება მრავალი აქტი, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის და დამნაშავენი დაუსჯელი რჩებიან.

მ. მანოშვილი,
თელავის რაიონის აღმასკომის სავაჭრო განყოფილების ინსპექტორი.

საჭიროა გაღამჭრელი ზომების მიღება

რამდენიმე წელია სოფელ ქვემო გომის კოსიგინის სახელობის კოლმეურნეობაში შენდება წყალსატუმბავი სადგური, რომელიც კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფ 100 ჰექტარამდე მიწას მორწყავს.

კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო კანტორამ მშენებლობაზე ზოგიერთი სამუშაო დაბალხარისხოვნად და პროექტის გვერდის ავლით შეასრულა. ამის გამო მშენებლობის მთავარ ტრასზე მილები ორასი მეტრის მანძილზე შესაცვლელია. ძველი ტრანსფორმატორი, რომელიც დაიდგა, შესაკეთებელია.

პარტიის კასპის რაიკომსა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ამ საკითხზე არაერთხელ უმსჯელნიათ, მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელია.

ა. მესხოშვილი,
კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოსიგინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისათვის

რევოლუციური არმიის გირთვი

მეფის თვითმპყრობელობასთან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მზადების პერიოდში ბოლშევიკებმა დიდი ლენინის მითითებების საფუძველზე ენერგიული პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს ჯარებში, ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტების მატროსებში.

შავი ზღვის მატროსებს შორის რევოლუციურმა მოძრაობამ განსაკუთრებული გაქანება ჰპოვა 1905 წლის დამდეგს. სევასტოპოლში ჩამოყალიბდა ფლოტის სოციალ-დემოკრატების სპეციალური კომიტეტი, ეგრეთწოდებული „მატროსსკაია ცენტრალკა“. „ცენტრალკის“ ხელმძღვანელები — ბოლშევიკი მატროსები ა. პეტროვი, გ. ვაკულინჩუკი, ა. ვოლოშინი და სხვები დაკავშირებული იყვნენ პარტიის ოდესის, ნიკოლაიევის, კავკასიის კომიტეტებთან და იყვნენ იმ რევოლუციური ამბების კურსში, რომლებიც სამხრეთ უკრაინაში და საქართველოში ხდებოდა. შავზღველმა მატროსებმა იცოდნენ თბილისის, ბათუმის, ფოთის, ჭიათურის მუშათა გაფიცვების, გლეხთა აჯანყებების შესახებ.

პარტიის მესამე ყრილობის მოწოდებამ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი კომიტეტებისადმი მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით დროზე გაეწიათ დახმარება კავკასიისათვის, მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა რევოლუციონერ მატროსებს შორის. ადგენდნენ რა ფლოტის საყოველთაო აჯანყების გეგმას, შავზღველი ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევდნენ კავკასიას.

მაგრამ ამბების განვითარებამ რამდენადმე დაარღვია ეს გეგმა. გათვალისწინებული იყო, რომ 1905 წლის 26 ივნისს (ძველი სტილით) მთელი საზღვაო ფლოტი სასწავლო მეცადინეობაზე წავიდოდა ტენდრის ყურეში ოდესის მახლობლად. მაგრამ ფლოტის მეთაურმა ადმირალმა ჩუხნინმა გასცა განკარგულება, რომ უდიდესი ჯავშნოსანი „თავადი პოტიომკინი“ ტენდრის ყურეში გაეგზავნათ მთელი ფლოტის გასვლამდე ორი კვირით ადრე, ე. ი. 12 ივნისს.

„პოტიომკინთან“ ერთად ზღვაში გავიდა ნაღმოსანი № 267. 12 ივნისს ღამით ამ ნაღმოსნით ოდესაში გაიგზავნა „პოტიომკინის“ მატროსთა ჯგუფი მიჩმან მაკაროვის მეთაურობით ხორცის საყიდლად.

ნაღმოსანი ოდესაში ჩავიდა 13 ივნისს დილით. ამ სანავსადგურო ქალაქის მრავალეროვანი პროლეტარიატი გაფიცული იყო. გაფიცვაში მონაწილეობდნენ რუსი და უკრაინელი მელითონეები, ქართველი მეზღვაურები და ნავსადგურის მუშები (იმ წლებში ოდესაში იმყოფებოდა რამდენიმე ათასი ქართველი მუშა, რომლებიც საქართველოდან აქ გარესამუშაოზე იყვნენ ჩამოსული). ქართველი მეზღვაურები და ნავსადგურის მუშები დაკავშირებული იყვნენ კავკასიის კომიტეტთან და იყვნენ იმ ამბების კურსში, რაც მათს სამშობლოში ხდებოდა. ნაღმოსნის ჩასვლის დღეს ოდესაში მყოფ ქართველებს განსაკუთრებით აღელვებდათ ქუთაისიდან მიღებული ამბები ბოლშევიკ ა. წულუკიძის დაკრძალვის შესახებ, იმის შესახებ, რომ იქ გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომ დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

13 ივნისს კაზაკებმა სროლა აუტეხეს ოდესელი მუშების მიტინგს და რამდენიმე კაცი მოკლეს. დახვრეტის პასუხად ფეხზე დადგა ათასობით პროლეტარი, რომლებმაც დაიწყეს ბარიკადების აგება და შეიარაღება თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად.

14 ივნისს დილაადრიან ჯავშნოსნის ეკიპაჟში მღელვარება დაიწყო. ეს მღელვარება გააძლიერა კერძო საბაბმა — მიჩმან მაკაროვის მიერ ნაყიდი ხორცი დამპალი აღმოჩნდა. ბოლშევიკების რჩევით, რომლებიც ცდილობდნენ მატროსებს თავი შეეკავებინათ აქტიური გამოსვლისაგან მთელი ფლოტის ჩასვლამდე, ეკიპაჟმა უარი თქვა სადილზე, რომელიც დამპალი ხორცისაგან იყო გაკეთებული.

ჯავშნოსნის მეთაურმა გოლიკოვმა და უფროსმა ოფიცერმა პროვოკაციის მიზნით, რათა გამოეკვლინებინათ „არასაიმედო“ ელემენტები, გამომწვევად დაიკავეს თავი. უფროსმა ოფიცერმა გილიაროვსკიმ, რომელიც მატროსებს სახრჩობელით ემუქრებოდა, რეოლვერით მოკლა ჯავშნოსნის ბოლშევიკების ხელმძღვანელი გრიგოლ ვაკულინჩუკი. გააფთრებულმა მატროსებმა მოკლეს ჯავშნოსნის მეთაური, უფროსი ოფიცერი გილიაროვსკი და კიდევ რამდენიმე ოფიცერი.

არჩეულ იქნა გემის კომისია — აჯანყებულთა თავისებური აღმასრულებელი კომიტეტი. მასში მოხვდა ბოლშევიკების დიდი ჯგუფი, მაგრამ კომიტეტში გავიდა აგრეთვე რამდენიმე მენშევიკი, ესერი და ანარქისტი. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მატიუშენკო.

პოტიომკინელებმა გადაწყვიტეს წასულიყვნენ ოდესაში, რათა იქ მოეცადათ მთელი ფლოტის მოსვლამდე, დახმარებოდნენ ოდესის აჯანყებულ მუშებს და შემდეგ დაძრულიყვნენ კავკასიისაკენ.

15 ივნისს ღამით ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ მივიდა ოდესაში. უდიდესი ხომალდის წითელი დროშით გამოჩენამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მუშებში და თავზარი დასცა მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ოდესის ნავსადგური ხალხით აიესო. ნაპირზე გადმოსვენებულ ვაკულინჩუკის ცხედართან ათასობით ოდესელმა მოიყარა თავი. განუწყვეტლივ გამოდიოდნენ სიტყვებით ბოლშევიკების წარმომადგენლები, ქალები, მუშები.

16 ივნისს მოხდა ვაკულინჩუკის დაკრძალვა. მეფის ხელისუფლებმა ქალაქში თავი მოუყარეს ათეულ ათასობით ჯარისკაცს. მაგრამ რევოლუციური ჯავშნოსნის ქვემეხები უზრუნველყოფდნენ იმ ათასობით ადამიანის უშიშროებას, რომლებიც ბოლშევიკი მეზღვაურის კუბოს მიჰყვებოდნენ. დემონსტრანტების რიგებში მხარდამხარ მიდიოდნენ რუსები და უკრაინელები, ქართველები და სომხები ჯავშნოსანის აჯანყების დაღუპული ხელმძღვანელის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად.

17 ივნისს დილით ოდესას სევასტოპოლიდან მიადგა მეფის ესკადრა. მარტო „პოტიომკინის“ წინააღმდეგ გამოვიდა 12 სამხედრო გემი, შეიარაღებული 150 ქვემეხით და 68 სატორპედო აპარატით.

მრისხანე საფრთხის წინაშე „პოტიომკინის“ ეკიპაჟი შემჭიდროვდა, თითქოს ერთიან ორგანიზმად გადაიქცა. იგი უშიშრად გამოვიდა მთელი ესკადრის წინააღმდეგ. და აი, როდესაც ჯავშნოსნის ანძაზე აფრიალდა სიგნალი: „პოტიომკინის“ ეკიპაჟი კომანდორებს სთხოვს არ ისროლონო“, ამის პასუხად ყველა გემზე გაისმა მრავალათასიანი „ვაშა!“.

მეფის ხელისუფლებმა ბრძოლა წააგეს. ისინი იძულებული გახდნენ გაეცათ ბრძანება ფლოტის სევასტოპოლში დაბრუნების შესახებ, მაგრამ სათვალავში დაეკლდათ კიდევ ერთი ჯავშნოსანი „გეორგი პობედონოსეცი“, რომელიც „პოტიომკინის“ მხარეზე გადავიდა, მაგრამ მალე მეჩიჩზე გაირიყა და მწყობრიდან გამოვიდა.

„პოტიომკინზე“ ამოიწურა ქვანახშირის მარაგი. ჯავშნოსანი გაემართა უახლოეს ნავსადგურ ფეოდოსიისაკენ. იქ ქვანახშირის შოვნა არ მოხერხდა. ჯავშნოსნის ბოლშევიკების წინადადება — გაჰყოლოდნენ კავკასიის ნაპირს ბათუმამდე, არ იქნა მიღებული. მატროსებს აშინებდათ ის, რომ სულ უქვანახშიროდ დარჩებოდნენ და მეფის ნაღმოსანთა სამიზნო გახდებოდნენ. პოტიომკინელები იძულებული გახდნენ რუმინეთში წასულიყვნენ.

„პოტიომკინი“ დარჩა „რევოლუციის დაუმარცხებელ ტერიტორიად“. დიდი ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჯავშნოსნის აჯანყებას.

„პოტიომკინის“ აჯანყება იყო ცარიზმის დასაყრდენის — ჯარის პირველი დიდი გამოსვლა ხალხის მხარეზე. მან შეარყია ცარიზმი, დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთ.

„პოტიომკინის“ შემდეგ მატროსები აჯანყდნენ ბალტიის ზღვაზე, ჯარისკაცები კიევში, ხარკოვში, შემოდგომაზე იფეთქა სევასტოპოლის ნოემბრის აჯანყებამ.

„პოტიომკინის“ მაგალითი ხალხს მოუწოდებდა გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. 1917 წელს აჯანყდა შავი ზღვის ფლოტი, მეზღვაურებმა ხელი შეუწყეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას უკრაინაში. „პოტიომკინის“ ხსოვნის ერთგულმა შავზღველებმა ფლოტილია გაგზავნეს როსტოვში კალედინის კონტრრევოლუციური აჯანყების ჩასაქრობად. შავზღველები ებრძოდნენ თეთრგვარდიელებს, საქართველოს მეწმენეიკ მოღალატეებს, დაშნაკებს კავკასიაში.

„პოტიომკინის“ მაგალითის მიხედვით წითელი ალმები აიფრიალა ინტერვენტთა ესკადრამ ოდესისა და სევასტოპოლის ნაპირებთან და აიძულა იმპერიალისტები ღაეტოვებინათ უკრაინა.

„პოტიომკინის“ მაგალითი აღაფრთოვანებდა ინგლისის, ჰოლანდიის და სხვა კოლონიური სახელმწიფოების მეზღვაურებს კოლონიების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასახმარებლად. როდესაც 1933 წელს აღდგა ინდონეზიის ხალხი, ჯავშნოსან „დი ზევენ პროვინციენის“ (შვიდი პროვინციის) ეკიპაჟმა აჯანყების ალამი აღმართა. მთელი მსოფლიოს პრესამ აჯანყებულ ჯავშნოსანს „ჰოლანდიის „პოტიომკინი“ უწოდა. 1946 წელს ბომბეისა და კარაჩში აჯანყდა 10.000 მეზღვაური, რომლებიც მოითხოვდნენ ინდოეთის დამოუკიდებლობას. ინდონეზიასა და ინდოეთში აჯანყებული მატროსები აცხადებდნენ, რომ ისინი „პოტიომკინის“ მაგალითის მიხედვით მოქმედებდნენ.

ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყებამ მუშათა, გლეხთა და განსაკუთრებით თვით ჯარისკაცთა და მატროსთა მასებისათვის უფრო გასაგები და მახლობელი გახადა მუშათა კლასთან, ხალხთან არმიისა და ფლოტის შეერთების აზრი და ეს აჯანყება რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ისტორიაში შევიდა როგორც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რევოლუციური მამაცობის ნიმუში.

სურათზე: მიტინგი გ. ვაკულინჩუკის ცხედართან ოდესის ნავსადგურში 1905 წლის 16 ივნისს.

მ. სტავნიცერი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი ოდესა.

მოსავალს ავიღებთ 10 სამუშაო დღეში

სილნაღის რაიონის დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების სამუშაო გეგმა

დაიწყო სოფლის მეურნეობაში პასუხსაგები სამუშაო პერიოდი — თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. მალე ხორბლის მკა მასობრივად გაჩაღდება. მოსავლის აღების სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე დამოკიდებულია იმ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება, რაც ჩვენმა კოლმეურნეობამ დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე.

ჩვენთვის კარგად ცნობილია ანდაზა: „მოსავალი ის კი არ არის, რაც მინდორშია, არამედ ის, რაც ბეღელშია“. ამოცანა ის არის, რომ მოსავალი ავიღოთ სწრაფად და უდანაკარგოდ.

კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ აქტივთან ერთად გაითვალისწინეს არსებული შესაძლებლობანი, რეზერვები და გადაწყვიტეს პურეულის მოსავალი აღებულ იქნას 10 სამუშაო დღეში.

წელს კოლმეურნეობამ თავთავიანი კულტურები უნდა მოიკას 1.379 ჰექტარზე, აქედან შემოდგომის ხორბალი და ქერი — 1.162 ჰექტარზე. ვვარაუდობთ 1.019 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 20 ცენტნერი ხორბალი, 143 ჰექტარი ქერის ნათესზე საშუალოდ ჰექტარზე — 18 ცენტნერი, ხოლო 217 ჰექტარი შვრიის ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 25 ცენტნერი...

წნორის მტს-ის მუშაკთა და კოლმეურნეობის აქტივის მონაწილეობით შევადგინეთ მოსავლის აღების სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ძალისა და ტექნიკის სრულად გამოყენებას, შრომის სწორ ორგანიზაციას, მოსავლის უდანაკარგოდ აღებას.

სწორად მოვაწყოთ შრომას, მთელი სიმძლავრით გამოვიყენოთ ტექნიკა

კოლმეურნეობაში შექმნილია მემინდვრეობის ოთხი ბრიგადა, რომლებშიც ირიცხება 211 შრომისუნარიანი კაცი და ქალი. მათ მომსახურებას უწევენ წნორის მტს-ის მესამე და მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადები (ბრიგადირები ს. ნარინდოშვილი და ნ. ალადაშვილი). მოსავლის აღება მექანიზებული იქნება 100 პროცენტით.

პურის მკაზე იმუშავებს წნორის მტს-ის 5 კომბაინი და ულიანოვკის მტს-ის 2 კომბაინი. ამათგან სამი „სტალინეც-6“, ორი — „კომუნარი“ და ორი — თვითმავალი კომბაინი. კომბაინის აგრეგატები დაკომპლექტებულია მექანიზატორთა კადრებით. კომბაინები უზრუნველყოფილია მარცვალსაჭერებით, ხანძარსაწინააღმდეგო ხელსაწყოებით, ელექტროგანათებით ღამით მუშაობისათვის. მანქანებს სრული სიმძლავრით გამოვიყენებთ და დღეში ავიღებთ 125-130 ჰექტარს, ვამუშავებთ სულ მცირე 16-18 საათს დღე-ღამეში. „სტალინეც-6“ მარკის კომბაინების მუშაობას მოვაწყობთ საათობრივი გრაფიკით.

კომბაინერებს მიცემული აქვთ საჭარმოო დავალება, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოს ყველა ძირითად მაჩვენებლებს:

მემინდვრეობის პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი თ. ბერიაშვილი) იმუშავებს კომბაინერი ს. ნარინდოშვილი, მეორე ბრიგადაში (ბრიგადირი ნ. ჯავაშვილი) — კომბაინერი ნ. ალადაშვილი, მესამე ბრიგადაში (ბრიგადირი ზ. კუტიბაშვილი) — კომბაინერი ა. ალადაშვილი, მეოთხე ბრიგადაში (ბრიგადირი ფ. ბაგალიშვილი) — კომბაინერი ლ. სტეფანოვი.

კომბაინების აგრეგატების დღიური დავალებანი ნაკისრი ვალდებულების გათვალისწინებით გაანგარიშებულია: „სტალინეც-6“ მარკის კომბაინისათვის — 20-22 ჰექტარი, „კომუნარისათვის“ — 12 ჰექტარი და ამდენივე — თვითმავალი კომბაინისათვის. ცხადია, რომ ყველა ნაკვეთზე ერთდროულად არ შემოდის პურეული. ამიტომ ვითვალისწინებთ კომბაინები გამოვიყენოთ ჯგუფურად ცალკეულ ნაკვეთებზე ხორბლის მომწიფების მიხედვით. მაგალითად, კომბაინები ხორბლის აღებას პირველად შეუდგებიან მესამე ბრიგადაში ასჰექტარიან ნაკვეთ „სანგალზე“, შემდეგ სამუშაოდ გადავლენ „ალექსაანთიურეს“ ნაკვეთში, სადაც მომკიან 205 ჰექტარს. კომბაინერებს მიჩენილი აქვთ ასაღები ნაკვეთები, რაც გაფორმებულია სათანადო აქტით.

დიდი მნიშვნელობა აქვს კომბაინის ბუნკერიდან მარცვლის დაცლას სვლის დროს. ამით დღეში დაახლოებით ვიგებთ 3 საათს. ამიტომ გამოვყავით 5 ავტომანქანა და 16 ურემი სპეციალურად მოწყობილი ბუნკერებით. კოლმეურნეობაში არის ხუთი საველე კალო, სადაც მოეწყობა მარცვლის გაშრობა-გაწმენდა, გამოყენებული იქნება აგრეთვე მარცვალსაწმენდი მანქანა „ვიმი“.

მარცვლის გადაზიდვაზე იმუშავებს 8 ავტომანქანა და 8 ურემი.

როგორ არის განაწილებული ძალები ბრიგადების მიხედვით? ამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ ერთ მაგალითს. მემინდვრეობის პირველ ბრიგადაში კალოზე ყარაულად იმუშავებს ი. სიხაშვილი, საველე საწყობის გამგედ — გ. სიხაშვილი, მზარეულად — თამარ ალადაშვილი, კომბაინიდან ნამჯის გადმოცლაზე — სიკო და ლევან მოლაშვილები, საწვავის მომარაგებაზე — რ. ჯავაშვილი, კომბაინიდან მარცვლის გამოზიდვაზე — ფ. ჯავაშვილი, გ. თეგაშვილი, ი. ჯავაშვილი, კალოზე მიტანილი მარცვლის გადაწონაზე — ლ. მოლაშვილი, მ. ბერიაშვილი, გ, მოლაშვილი, მარიამ და ნადია მოლაშვილები, მარცვლეულის გაწმენდაზე — ვ. სიხაშვილი, ო. ფხოველიშვილი, თამარ და ვარა ჯავაშვილები. თავთავების აკრეფაზე და ნარჩენებს ამომკაზე—მ. ოზბეთელაშვილი, ვ. ჯავაშვილი, ა. მოლაშვილი, ზ. ჯავაშვილი, — სულ ამ საქმეზე იმუშავებს თორმეტი კოლმეურნე. ამავე დროს შერჩეულია ავტომძღოლები, მეხანძრეები, ავტომანქანების მტვირთავები და სხვ.

წელს ჩვენ ვითვალისწინებთ ნაწვერალზე სიმინდი დავთესოთ 300 ჰექტარზე. ამისათვის მოსავლის აღებასთანავე ნაკვეთებიდან ნამჯას გამოვზიდავთ ტრაქტორის სათრიელებით, თვითეულ ბრიგადაში ერთი სათრიელი იმუშავებს, ნაწვერალის ღრმად მოხვნაზე — ოთხი ტრაქტორი: 2 „დტ-54“ და 2 „ნატი“. ხვნასთან ერთად ნიადაგი დაიფარცხება. სიმინდი დაითესება კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

მემინდვრეობის ბრიგადები მოსავლის აღების დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ნაკვეთებს შემოცელავენ კომბაინების შესასვლელად, ერთხელ კიდევ გაასუფთავებენ ნათესებს სარეველებისაგან, მოსპობენ კომბაინის მუშაობის შემაფერხებელ მიზეზებს. მკის დაწყების წინ (8-10 დღით ადრე) კოლმეურნეობის თავმჯდომარე და აგრონომი ბრიგადირებთან და კომბაინერებთან ერთად ამოწმებს ნაკვეთების მდგომარეობას და აქტით გადასცემს კომბაინერებს.

არ დავუშვებთ პურეულის დანაკარგს

გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ თუ თვითეულ კვადრატულ მეტრ პურეულის ნათესზე აუღებელს დავტოვებთ ორ თავთავს, ჰექტარზე მარცვლის დანაკარგი მიაღწევს ერთ ფუთს, ხოლო თუ ამას ვიანგარიშებთ მთელ ასაღებ ფართობებზე, დანაკარგი ძალიან დიდი იქნება.

ამიტომ ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. ეს კარგად გვაქვს შეგნებული და ისე მოვაწყობთ შრომას, რომ არ დავკარგოთ არცერთი კილოგრამი პური: მკის დაწყებიდან დამამზადებელ პუნქტებსა და საკოლმეურნეო საწყობებში გადაზიდვამდე.

შედგენილი გეგმის თანახმად თვითეულ კომბაინს მიჰყავება 10-15 კაცი, რომლებიც უზრუნველყოფენ თავთავების აკრეფას. დანაკარგების წინააღმდეგ საბრძოლველად წელს გამოდიან მოსწავლეები, მოხუცი კოლმეურნეები. ჩვენს კოლმეურნეობაში ამ საქმეზე ყოველდღიურად იმუშავებს 150-ზე მეტი კაცი.

დანაკარგების აცილების, ნამჯის დიდი რაოდენობით მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომ კომბაინები ვამუშაოთ დაბალ ჭრაზე — დაახლოებით 10-15 სანტიმეტრ სიმაღლეზე. ყველა წესის დაცვით მოცემული ნაკვეთის აღების დამთავრებისთანავე ფართობს აქტით იბარებს ბრიგადირი, ხოლო ბრიგადირი ორ-სამ დღეში ერთხელ ამ ნაკვეთებს აბარებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მხოლოდ ამის შემდეგ თავმჯდომარე ხელს აწერს აქტზე და ნაკვეთიც აღებულად ითვლება.

დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ყველა კალოზე მოწყობილია ხორბლის საცავი ფარდული დაახლოებით 600 ტონის ტევადობისა. გასულ წლებში იყო შემთხვევა, როცა მარცვლეულს უსაფარო მანქანებში ყრიდნენ და გადაზიდვის დროს მარცვალი იბნეოდა. ახლა ყველა გადასაზიდ ავტომანქანას აქვს ჩასაფენი ბრეზენტი. ამავე დროს ხორბლის გადაზიდვა დამამზადებელ პუნქტამდე და საკოლმეურნეო საწყობებამდე ხდება მხოლოდ და მხოლოდ ტომრებით. ამისათვის თვითეულ ბრიგადას აქვს 200 ტომარაზე მეტი.

კარგად გვაქვს ორგანიზებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი. თვითეულ აგრეგატთან, კალოზე გავაძლიერეთ სახანძრო დაცვის შემადგენლობა. ამ საქმისათვის პასუხისმგებლად კოლმეურნეობიდან გამოყოფილია კომუნისტი ი. კუტიბაშვილი.

პირველი განალეწი საუკეთესო მარცვლეული — სახელმწიფოს

პირველი განალეწი საუკეთესო პური — სახელმწიფოს! ასეთია კოლმეურნეთა საპატიო ამოცანა. ჩვენ გადავწყვიტეთ მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე შევუდგეთ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების მოხდას. პირობას ვიძლევით მოსავლის აღების დამთავრების პარალელურად შევასრულოთ სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ანგარიშში მარცვლეულის ჩაბარების გეგმები. წელს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად დავამზადებთ 500 ტონამდე პურს, აგრეთვე ასეულობით ტონას — სახელმწიფო შესყიდვის ანგარიშში. ყოველდღიურად ჩავაბარებთ 40-50 ტონა კონდიციურ ხორბალს. კალოზე და მიმდებ.პუნქტში მარცვლის ჩაბარების კონტროლის გასაძლიერებლად გამოყოფილია ორი კაცი. ამ საქმეში სიზუსტის დაცვისა და ანგარიშწარმოების სწორად დაყენებისათვის პასუხისმგებელი იქნება კოლმეურნეობის უფროსი მოანგარიშე ს. სიხაშვილი. კალოებზე მწონავები გამოყოფილია წნორის მტს-დან და კოლმეურნეობიდან.

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წელს ნაწვერალზე დავთესავთ სიმინდს 300 ჰექტარზე და მას გამოვიყენებთ საფურაჟედ და სასილოსედ.

კოლმეურნეობას სპეციალურად ჰყავს გამოყოფილი საკვებმოპოვების ბრიგადა, რომელსაც ს. ბაგალიშვილი ხელმძღვანელობს. წელს უნდა დავამზადოთ 1.350 ტონა სილოსი. ჩვენს პირობებში ეს სამუშაო უფრო მეტად სრულდება წლის მეორე ნახევარში. მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს პურეულის მასობრივად აღების დაწყებამდე დავასილოსოთ სიმინდის მწვანე მასა 250 ტონის რაოდენობით, დიდ ყურადღებას მივაქცევთ სიმინდის დასილოსებას რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში, დავაჩქარებთ ბალახის აღებას იმ ანგარიშით, რომ თიბვის გეგმა ძირითადად შევასრულოთ მოსავლის მასობრივად აღების დაწყებამდე. ამავე პერიოდისათვის დავამთავრებთ სიმინდის მესამე თოხნას.

თიბვის დაჩქარების მიზნით იმუშავებს წნორის მტს-ის ექვსი სატრაქტორო სათიბი მანქანა ანუ ორი აგრეგატი, სამი სატრაქტორო ფოცხი და ერთი მექანიზებული დამზვინავი მანქანა.

კოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა მოსავლის აღების დღეებში

მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების პერიოდში სერიოზული უბანია პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა მინდვრად. ეს გაითვალისწინა საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ და მოსავლის აღების სამუშაოთა გეგმაში დასახა მინდვრად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა. კოლმეურნეობაში არის 42 კომუნისტი და 23 კომკავშირელი. ისინი გაანაწილებული არიან სამუშაოთა ყველა გადამწყვეტ უბანზე და ბეჯითი შრომის მაგალითს იძლევიან.

მემინდვრეობის თვითეულ ბრიგადაზე დასახმარებლად მიმაგრებულია 3 კომუნისტი. მაგალითად, პირველ ბრიგადაზე — ვ. ბაინდურაშვილი, რომელიც პასუხისმგებელია მოსავლის აღების მდგომარეობისათვის. იგი ამავე დროს არის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. ამ ბრიგადაში იმუშავებენ კომკავშირელები ა. ფხოველიშვილი და ე. ბაგალიშვილი. მათ დავალებული აქვთ უხელმძღვანელონ ბრიგადებში მოწყობილი წითელი კუთხეების მუშაობას. მინდვრად შეიქმნა აგიტპუნქტი, რომლის გამგედ პარტიის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა ს. მჭედლიშვილი. ყოველ ორ დღეში გამოვა საველე გაზეთები. წითელი კუთხე მოწყობილია ყველა ბრიგადაში. მას საკმაოდ აქვს საინტერესო ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები. წითელი კუთხე გაფორმებულია ლოზუნგებით, პლაკატებით. ამავე დროს ბრიგადებში ჩოეწყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სხვადასხვა პროცესების, მნიშვნელოვანი ამბების ამსახველი ფოტოვიტრინები, არის საპატიო დაფა და სხვ.

მოსავლის აღების დღეებში უშუალოდ მინდვრად იმუშავებს 30 კომუნისტი და 15 კომკავშირელი.

მოსავლის აღების დღეებში იმუშავებს ოცი აგიტატორი. მათ შორის არიან კომუნისტები ვ. კუტიბაშვილი, ვ. ფხოველიშვილი, კომკავშირელი მ. ჯიბლაშვილი, უპარტიო აქტივისტი ს. ბაგალიშვილი. კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციის ძალებით შექმნილია აგიტმხატვრული ბრიგადა. წნორის საექიმო უბნიდან მინდვრად კოლმეურნეთა მომსახურებისათვის გამოყოფილი არიან ექიმები და ექიმის თანაშემწეები.

ბრიგადებს შორის გაფორმებულია სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია წითელი დროშები წარწერით: „მოწინავე ბრიგადას“.

კოლმეურნეობამ ყველა პირობა შექმნა ბავშვებიანი ქალების შრომაში ჩასაბმელად. ამ მიზნით გაიხსნა საბავშვო ბაღი და ბაგა 50 ბავშვისათვის. მომვლელ-აღმზრდელებად გამოყოფილი არიან თ. კუტიბაშვილი და კ. ბერიაშვილი.

გეგმაში გათვალისწინებული გვაქვს სხვა აუცილებელი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთო წარმატების მოპოვებას. ჩვენი გეგმის რეალობა ცოცხალი ადამიანებია. კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა ამ გეგმის მიხედვით მიიღეს ყველა დავალება და ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. მოსავლის აღების საბრძოლო ამოცანას სასახელოდ შევასრულებთ და უზრუნველყოფთ საზოგადოებრივი მეურნეობის ახალი აღმავლობის მიღწევას.



ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობას.

ა. მჭედლიშვილი,
სიღნაღის რაიონის დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

შ. გოჩიაშვილი,
საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი;

ი. ქებურია,
მტს-ის აგრონომი კოლმეურნეობაში.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დღეს საბჭოთა საზოგადოებრიობა აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგის აკადემიკოს ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილის დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავს.

45 წლის მანძილზე ი. ბერიტაშვილი დაუღალავად ემსახურება თავის საყვარელ სამეცნიერო დარგს — ფიზიოლოგიას. გამოჩენილმა რუსმა ფიზიოლოგმა ნ. ვვედენსკიმ 1909 წელს ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ი. ბერიტაშვილი ჩაბა კვლევითს მუშაობაში და მისცა სპეციალური თემა. ი. ბერიტაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა სამუშაო და უნივერსიტეტის დამთავრებისას დატოვებულ იქნა ფიზიოლოგიის კათედრასთან. 1914-15 წლებში ჩაბარა გამოცდები მაგისტრის ხარისხზე. 1916 წელს მიიღო ბრევატ-დოცენტის წოდება და დაიწყო კუნთისა და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის კურსის კითხვა ოდესის უნივერსიტეტში.

ი. ბერიტაშვილის დამოუკიდებელი მუშაობა არსებითად გაიშალა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც მან მრავალი სამეცნიერო შრომა შეასრულა. მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწია ტონურ რეფლექსთა და რეფლექსურ რეაქციათა დინამიკისა და დიდი ტვინის ქერქის შესწავლაში.

1919 წელს ი. ბერიტაშვილი გადმოდის თბილისის უნივერსიტეტში და მისთვის ჩვეული ენერგიით ჰკიდებს ხელს ფიზიოლოგიის სწავლების ორგანიზაციას. მან ჩამოაყალიბა პირველი ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი გახდა მეცნიერების მონაპოვართა თანამედროვე დონეზე სწავლება და კვლევითი მუშაობის გაშლა. ამასთან სახელოვანმა მეცნიერმა დიდი მუშაობა გასწია ქართულ ენაზე ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოების შექმნაში.

ი. ბერიტაშვილის კვლევითს მუშაობას განსაკუთრებით ფართო გაქანება მიეცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. კუნთოვანი და ნერვული ფიზიოლოგიის საკითხების შესწავლიდან იგი ფართოდ შეიჭრა ცენტრალური ნერვული მოქმედების გარკვევაში და გულმოდგინედ შეუდგა დიდი ტვინის ქერქის ფუნქციათა შესწავლას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის დამსახურება ცენტრალურ პროცესთა რიტმული მიმდინარეობის შესწავლაში. მან აღმოაჩინა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი — აგზნების მსგავსად რეციპროკული შეკავების რიტმულად მიმდინარეობა. ამ გამოკვლევამ ი. ბერიტაშვილს მსოფლიო მეცნიერის სახელი მოუპოვა.

დიდია ი. ბერიტაშვილის დამსახურება აგრეთვე დიდი ტვინის ქერქის ფუნქციათა შესწავლაში. ცნობილია, რომ დიდმა რუსმა მეცნიერმა ი. პავლოვმა მის მიერ შემოღებული პირობითი რეფლექსის მეთოდით კვლევის ნიადაგზე საფუძველი ჩაუყარა დიდი ტვინის ქერქის ფუნქციათა შესწავლას. დიდი ტვინის ფუნქციათა კვლევის დასაწყისში ი. პავლოვი განხრახავდა რეფლექსის ნერწყვითი კომპონენტის შესწავლით შემოიფარგლა და უკუაგდო მოძრაობითი კომპონენტების კვლევა. მისი ასეთი არჩევანი იმით აიხსნება, რომ დიდი ტვინის ქერქის რთული მოქმედების გამოკვლევისათვის საჭირო იყო ჯერ ელემენტარულ მოვლენათა თანდათანობითი ანალიზით სვლა, რის საშუალებასაც ყველაზე მეტად ნერწყვის სეკრეციის მეთოდიკა იძლეოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნერწყვითი მეთოდიკით მიღებული შედეგების საფუძველზე ი. პავლოვმა ნერწყვის სეკრეციის ორბრეფლექსებზე სავსებით თავდაცვის პირობითს რეფლექსებზე სავსებით დაადასტურა ძირითადად ის კანონზომიერებანი დიდი ტვინის ქერქის მოქმედებაში, რომლებიც მიღებული იყო ი. პავლოვის სკოლაში ნერწყვის მეთოდიკით კვლევის ნიადაგზე. ამასთან ბერიტაშვილმა დაადგინა ზოგი მეტად მნიშვნელოვანი ახალი მოვლენა, მათ შორის ორმხრივი დროებითი კავშირის წარმოქმნა ქერქში როგორც პირობითი გამღიზიანებლის კერიდან, ისე უპირობო გამღიზიანებლის მიმღები კერიდან პირობითისაკენ და სხვ.

ასეთი ცდების შემდეგ ი. ბერიტაშვილი კიდევ უფრო აღრმავებს ქერქის ფუნქციის კვლევას მის მიერ შემოღებული ე. წ. თავისუფალი მოძრაობის მეთოდით, რომელსაც ამჟამად წარმატებით იყენებენ პავლოვის მოწაფეებიც. ამ მეთოდით კვლევის ნიადაგზე მიღებულ ფაქტიურ მონაცემთა საფუძველზე გამოტანილ იქნა ის დასკვნა, რომ ცხოველის ცალებად გჭრომისთან შეგუების რეაქცია რთული, ქცევითი აქტია.

ი. პავლოვის აზრმა, რომ ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედება მისი უკეთ გაგებისათვის შესწავლილი ყოფილიყო შედარებითი გზით, ძირითადად მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით სხვადასხვა ცხოველზე ჩატარებულ ცდებში.

ი. ბერიტაშვილის მიერ უმაღლესი ნერვული მოქმედების კანონზომიერებათა დასადგენად გაწეული კვლევითი მუშაობა 1938 წელს აღიარებულ იქნა ი. პავლოვის მოძღვრების შემდგომ განვითარებად, რისთვისაც მას აკად. ი. პავლოვის სახელობის პრემია მიენიჭა.

1935 წელს, ი. ბერიტაშვილის მოღვაწეობის 25 წლისთავზე, უნივერსიტეტში მის მიერ შექმნილი ლაბორატორიის ბაზაზე დაარსდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც მისივე სახელი მიეკუთვნა. შემდეგში, 1941 წელს, ეს ინსტიტუტი გადავიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, სადაც ი. ბერიტაშვილი თავის თანამშრომელთა კოლექტივთან ერთად მთელი ენერგიით განაგრძობს მნიშვნელოვან პრობლემათა დამუშავებას უმთავრესად ცენტრალური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიიდან. დიდი ტვინის ელექტრულ პოტენციალთა შესწავლაში იგი პირველი იყო სსრ კავშირში.

1930 წელს ი. ბერიტაშვილმა, პირველმა მთელ საბჭოთა კავშირში, იწყო ზოგადი ფიზიოლოგიის დიალექტიკურ-მატერიალისტურ საფუძვლებზე გადამუშავება. ასეთი სახით გადამუშავებული დამხმარე სახელმძღვანელო გამოიცა რუსულ ენაზე პირველად 1937 წელს და მის ავტორს აკადემიკოს ი. ბერიტაშვილს სტალინური პრემია მიენიჭა. შემდეგში თავისი გამოცდილება მან კიდევ უფრო გაღრმავა და 1947 წელს გამოსცა კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის ორტომეული.

ი. ბერიტაშვილს მრავალმხრივი მეცნიერული დამსახურება დაედო საფუძვლად 1939 წელს მის არჩევას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1941 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1944 წელს —საკავშირო სამედიცინო აკადემიის ნამდვილ წევრად.

დიდია ი. ბერიტაშვილის ღვაწლი ახალგაზრდა კადრების აღზრდაში.

ი. ბერიტაშვილი თავიდანვე უნივერსიტეტში კათედრის გამგეა, 1933 წლიდან 1952 წლამდე კი — ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. 1941 წლიდან მთელი წლების მანძილზე იყო მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განყოფილების თავმჯდომარე. 1927-1950 წლებში იყო ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. 1939 წლიდან თითქმის განუწყვეტლივ მუშაობს საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ. 1936 წელს ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი იყო. 1934 წელს არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1935 და 1946 წლებში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ი. ბერიტაშვილს გამოქვეყნებული აქვს ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე 300-ზე მეტი მნიშვნელოვანი შრომა, რამდენიმე მონოგრაფია, ორიგინალური სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები ფიზიოლოგიაში. მას კარგად იცნობენ საბჭოთა და უცხოეთის ფიზიოლოგები და მუდმივი მეცნიერული ურთიერთობა აქვთ მასთან.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის ნაყოფიერი ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. 1935 წელს ფიზიოლოგიის ინსტიტუტს მიენიჭა ი. ბერიტაშვილის სახელი, თვით მას კი — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით.

მხცოვანი მეცნიერი ი. ბერიტაშვილი კვლავ მხნედ და გატაცებით მოღვაწეობს, ახალგაზრდული ენერგიით ხელმძღვანელობს მის ირგვლივ შემოკრებილი კოლექტივის მუშაობას.

პროფესორი ა. ბრეგაძე

მკითხველები წიგნების შესახებ

სასარგებლო წიგნი

სამშენებლო მექანიკა საინჟინრო-სამშენებლო საქმის ქვაკუთხედია. იგი მოიცავს ყველა საკითხს, კონსტრუქციების უმარტივესი ელემენტების განგარიშებით დაწყებული და უდიდეს საინჟინრო ნაგებობათა განგარიშებით დამთავრებული. იგი იმდენადვე თეორიული მეცნიერებაა, რამდენადაც ექსპერიმენტულ-ცდისეული.

თეორიული ძიება, პრაქტიკა და ექსპერიმენტების მონაცემები განუყოფელ ურთიერთობაშია სამშენებლო მექანიკაში.

ამ ფაქტით აიხსნება ის, რომ სამშენებლო მექანიკა სწრაფად განვითარდა და ახლა ტექნიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს. საჭიროა აქვე თქვას, რომ სამშენებლო მექანიკის სრული კურსის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არა გვაქვს, თუმცა მისი საჭიროება დიდად საგრძნობია. ამასთან საქართველოში მოგვეპოვებიან ძალები, რომლებსაც უთუოდ შეუძლიათ ქართული ტექნიკური ლიტერატურის ამ ხარვეზის შევსება.

ჯერჯერობით კი ქართულ ენაზე მოიპოვება ლიტერატურა სამშენებლო მექანიკის მხოლოდ ცალკე საკითხებზე. ახლახან ამ ლიტერატურას შეემატა პროფესორ ა. ასტვაცატუროვის ნაშრომი — „სამშენებლო მექანიკა“, ნაწილი I.

ამ წიგნის გამოცემა მისასალმებელი მოვლენაა. იგი ხელს შეუწყობს სამშენებლო მექანიკის, როგორც საინჟინრო განათლების საფუძვლის, შემდგომ განვითარებას, დაეხმარება უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტებს ამ საგნის შესწავლაში. მაგრამ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა. სივრცული ფერმების გარჩევისას წიგნი გადატვირთულია ნაკლებად საჭირო მასალით (ძალის სამი მიმართულებით დაშლის წესი, ძალის სიდიდის პოვნა და ა. შ.). ზედმეტად მიგვაჩნია აგრეთვე სიკრცული სისტემის შეკრებაზე შეჩერება, ვინაიდან ყოველივე ეს სტუდენტებისათვის უმაწვილნოდ არის ცნობილი უფრო ადრე თეორიული მექანიკიდან და გრაფიკული სტატისტიკიდან.

წიგნის ავტორი ამ საკითხთა გაშარტებაზე რომ არ მომცდარიყო, იგი შეძლებდა უფრო დაწვრილებით განემარტა ის ახალი, რაც ყველა მექანიკოსისათვის არის საინტერესო. ასეთი საკითხია, მაგალითად, ძალების გაშოსაგლინებლად კვანძების ამოკვეთის ხერხი. ამით წიგნი მხოლოდ მოიგებდა. კარგია, რომ წიგნის ყოველი თავისთვის შერჩეულია სათანადო ამოცანები და მაგალითები, ზოგი თეორიული მასალის ილუსტრაციად ამოხსნილიც არის, ხოლო ზოგიც დატოვებულია სავარჯიშოდ. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს თეორიული მასალის ღრმად შეთვისებას.

სამწუხაროდ, წიგნში მოყვანილი ამოცანებისა და მაგალითების უმრავლესობა ცოცხალი პრაქტიკიდან არ არის აღებული, მათ აკადემიზმის დაღი ეზის. შემდეგში საჭიროა ავტორმა ასეთი ამოცანები და მაგალითები ჩვენი მდიდარი სამშენებლო პრაქტიკიდან აიღოს, რაც წიგნს უფრო სასარგებლოს და მიმზიდველს გახდის.

წიგნში ებვდებით არაზუსტ გამოთქმებს, ზოგჯერ დებულებებსაც. მცდარად უნდა მივიჩნიოთ წიგნის ავტორის დასკვნა იმის შესახებ, თითქოს რაც უფრო განვითარდებიან მასალათა გაძძლეობა, დრეკადობის თეორია და სამშენებლო მექანიკა, ისინი თითქოს გაერთიანდებიან ერთ მეცნიერებად (ე. ი. თითქოს წაიშლება ზღვარი მათ შორის. იხ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 6).

ავტორის ეს დასკვნა მართებული არ არის. განა ცნობილი არ არის, რომ რაც უფრო განვითარდა ფიზიკა, როგორც მეცნიერება, მას გამოეყო თეორიული მექანიკა, ჰიდროდინამიკა, აეროდინამიკა, მათემატიკური ფიზიკა. მათემატიკურ ფიზიკას, როდესაც იგი განვითარდა, გამოეყო დრ

გერმანიის დემოკრატიული პრესა ნ. ა. ბულგანინისა და ჯ. ნერუს ერთობლივი განცხადების შესახებ

ბერლინი, 23 ივნისი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა ფართოდ აშუქებს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ყოფნას საბჭოთა კავშირში.

დღეს მთელი რიგი გაზეთები აქვეყნებენ ცრობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივი განცხადების, ნერუს პრეს-კონფერენციის, აგრეთვე მის მიერ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის ელექტროსადგურის დათვალიერების შესახებ. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" სრულად ათავსებს ნ. ა. ბულგანინისა და ჯ. ნერუს სიტყვებს, რომლებიც მათ წარმოთქვეს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე გამართულ მიტინგზე.

გამოხმაურება ინდოეთში ნ. ა. ბულგანინისა და ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივ განცხადებაზე

დელი, 23 ივნისი. (საკდესი). ყველა გაზეთი პირველ გვერდზე დიდი სათაურებით აქვეყნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივ განცხადებას.

გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი" განცხადებას აქვეყნებს სათაურით „ნერუმ და ბულგანინმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას. ისტორიული ცერემონია კრემლში". გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი" მთელ გვერდზე იძლევა სათაურს „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ვალდებულება მთელ მსოფლიოში მშვიდობის შესახებ. ხელმოწერილია ნერუს და ბულგანინის ერთობლივი განცხადება".

გაზეთები აგრეთვე აქვეყნებენ დაწვრილებითს ინგარიშებს მოსკოვში ნერუს ყოფნის შესახებ, კერძოდ იუწყებიან, რომ მან ინახულა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ელექტროსადგური.

აჯოი გზოშის განცხადება

დელი, 23 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი აჯოი გზოში გაზეთ „ნიუ ეიჯის" კორესპონდენტთან ინტერვიუში მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს ერთობლივ განცხადებას. „ის შესანიშნავი და გულწრფელი გულთამდომა, — განაცხადა გზოშმა, — რომლითაც ყველგან ხვდებოდნენ პრემიერ-მინისტრ ნერუს საბჭოთა კავშირში დაუვიწყარი ყოფნის დროს, ჩვენი ქვეყნისადმი საბჭოთა ხალხის სიმპათიის, სიყვარულისა და მეგობრობის დამადასტურებელია.

ერთობლივი განცხადება განამტკიცებს ძველისძველ მეგობრობას, რომელიც ჩვენი ქვეყნების ხალხებს აკავშირებს. იგი განამტკიცებს კულტურულ და ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც ახლა იქმნება სსრ კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის. ეს ერთობლივი განცხადება, რომელიც ადასტურებს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს და მოუწოდებს სავსებით აიკრძალოს ატომური იარაღი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ფაქტორია. იგი ერთხელ კიდევ ჩასცემს ლახვარს ომის გმჩაღებელთა გეგმებს და მას ყველა ხალხი სიხარულით შეხვდება".

„კომუნისტური პარტია, — განაგრძო გზოშმა, — ამაყობს იმით, რომ ჩვენმა ქვეყანამ ეს თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მშვიდობის საქმეში; იგი ბედნიერია, რომ შესრულდა ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცების ეს ისტორიული აქტი.

ინდოეთის კომუნისტური პარტია კმაყოფილებით შეხვდა ცნობას ჩვენს ქვეყანაში პრემიერ-მინისტრ ბულგანინის მომავალი ვიზიტის შესახებ, და დარწმუნებულია, რომ ეს კიდევ უფრო დააახლოებს ერთმანეთთან ორივე ქვეყანას".

ჯ. ნერუ პოლონეთში

ვარშავა, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ინახულა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ცირანკევიჩი. ჯ. ნერუსა და ი. ცირანკევიჩს საუბარი ჰქონდათ. საუბარში ინდოეთის მხრივ მონაწილეობა მიიღეს ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ნ. რ. პილაიმ, ინდოეთის რესპუბლიკის ელჩმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში კ. ბ. შ. მენონმა, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგემ ა. ჰუსეინმა.

პოლონეთის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ხ. მინეი და ზ. ნოვაკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ნაშკოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ინდოეთში ე. გრუძინსკი და პროფესორი ო. ლანგე.

პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა დარბაზობა გამართა ჯ. ნერუს პატივსაცემად

ვარშავა, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა დარბაზობა გამართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად.

პოლონეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბერუტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაკევსკი, პოლონეთის მარშალი კ. როკოსოვსკი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, პოლონეთის ჯარის გენერლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პოლონეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პრესის წარმომადგენლები.

სტუმართა შორის დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან ვარშავაში.

პოლონეთში აღმოაჩინეს პეტრე I-ის წერილები და სიგელები

ვარშავა, 24 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ" იუწყება, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა, რომელიც ამზადებს პეტრე პირველის დოკუმენტებისა და წერილების კრებულის გამოცემას, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივს მიმართა, თხოვნით მონახოს არქივის მასალები, რომლებიც ეხება პეტრე პირველის ურთიერთობას რეჩ პოსპოლიტასთან.

ამას წინათ პოლონელმა მეცნიერებმა კრაკოვის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს პეტრე პირველის 38 ნამდვილი წერილი და სიგელი, რომლებიც ეკუთვნის 1707-1721 წლებს. წერილების უმრავლესობა გაგზავნილია გეტმანისა და კრაკოვის კაშტელიანის ანდრია სენიავსკისათვის. განსაკუთრებით ძვირფასია 1708 წლით დათარიღებული წერილი, რომელიც პეტრე პირველს საკუთარი ხელით დაუწერია.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიის მოწვევა

პეკინი, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმა კომიტეტმა დაადგინა 5 ივლისს მოიწვიოს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა I-ლი მოწვევის კრების მეორე სესია, რომელზეც განიხილავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის პროექტს, 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საბოლოო ანგარიშის პროექტს და 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომა

პეკინი, 24 ივნისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ 22 ივნისს სხდომაზე დაამტკიცა პროექტი საბოლოო ანგარიშისა 1954 წლის შემოსავლისა და გასავლის ნაწილში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, აგრეთვე მოხსენება გარმარტებებით ამ საკითხზე, რომელიც ფინანსთა მინისტრმა ლი სიან-ნიანმა გააკეთა.

ეს დოკუმენტები განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა პირველი მოწვევის კრების მეორე სესიას.

სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე აგრეთვე გადაწყდა ეთხოვოს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტს მოიწონოს ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, ელექტროენერგეტიკული მრეწველობის სამინისტროსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სამინისტროს შექმნა და სათბობის მრეწველობის სამინისტროს გაუქმება.

დასავლეთ ბერლინის ჯაშუშური ორგანიზაციის აგენტებს განაჩენი გამოუტანეს

ბერლინი, 24 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში დამთავრდა სასამართლო პროცესი დასავლეთ ბერლინის ჯაშუშური და დივერსიული ორგანიზაციის ხუთი აგენტის საქმის გამო. მათ ბრალდებათ ისეთი დანაშაულობათა ჩადენა, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და მშვიდობის შენარჩუნებას. სასამართლომ მიუსაჯა ჰერჰარდ ბენკოვიჩსა და ჰანსდიტრიხ კოგელს სიკვდილი, ვილჰელმ შუსტერსა და ხრისტიან ბუშს — 15 წლის კატორღა თვითეულს, ჰერჰარდ კამპერს — ათი წლის კატორღა.

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე

ჰელსინკი, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა მუშაობას განაგრძობდა. დილის სხდომა გაიხსნა ბრაზილიელი მწერლისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ეოზე დე კასტროს თავმჯდომარეობით. მან განაცხადა, რომ გუშინ ასამბლეის პრეზიდიუმმა აირჩია თავისი ბიურო, აგრეთვე, რომ ედუარდ ერიო არჩეულია ასამბლეის საპატიო თავმჯდომარედ. არჩეულ იქნა აგრეთვე სამი საერთო კომისია განიარაღებისა და ატომური იარაღის, უშიშროების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის საკითხებზე, აგრეთვე ოთხი სპეციალური კომისია (ეკონომიურ და სოციალურ საკითხებზე, კულტურული გაცვლის, ახალგაზრდობის პრობლემების და მშვიდობისმოყვარე ძალების მოქმედების საკითხებზე).

დილის პლენარულ სხდომაზე პირველი გამოვიდა კანადის ანგლიკანური ეკლესიის მღვდელი კანდი, რომელიც მეთვალყურედ ჩამოვიდა ქალაქ ტორონტოს ორგანიზაციისაგან „მშვიდობის საეკლესიო მისია".

ვრცელი შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ გო მო-ჟო. სიტყვამ რამდენჯერმე გამოიწვია ხანგრძლივი ტაში.

შემდეგ ინდოეთის დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ კოსამბიმ. ახალი ზელანდიის დელეგაციის სახელით გამოვიდა ქ-ნი ლეი. იაპონელმა პროფესორმა კაორუ იასუიმ — ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ მოთხოვნაზე ხელმოწერის შეგროვების ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა — ილაპარაკა იაპონელი ხალხის ბრძოლაზე ატომური და თერმოგულის იარაღის აკრძალვისათვის, ატომური ომის აკრძალვისათვის.

შემდეგ გამოსულმა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარემ პრიტმა (ინგლისი) აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ატომური იარაღი უკანონოდ უნდა ჩაითვალოს.

ამით დამთავრდა ასამბლეის დილის სხდომა.

დამთავრდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია

ჟენევა, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დამთავრა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 38-ე გენერალურმა კონფერენციამ. კონფერენციამ უკანასკნელ სხდომებზე განიხილა და მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები: მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების შესახებ; განიარაღების შესახებ და იმ სახსრების გამოყენების შესახებ, რომლებიც უნდა განთავისუფლდეს სამხედრო ხარჯების შემცირების შემდეგ; პროფკავშირთა უფლებების დაცვის შესახებ; ქალთა შრომის პირობებისა და ზოგიერთი სხვა საკითხის შესახებ.

იმ პოზიციის გავლენით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატებმა დიკავეს, კონფერენციის უმრავლესობამ უარყო სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგატების მიერ შეტანილი მთელი რიგი შესწორებანი, რომელთა მიზანი იყო ამ რეზოლუციების გაუმჯობესება და კონკრეტიზაცია.

გადადგა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი სტივენსი

ნიუ-იორკი, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგაგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა რობერტ სტივენსმა განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ.

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა მიიღო სტივენსის გადადგომა და მის ადგილზე დანიშნა მიჩიგანის შტატის ყოფილი გუბერნატორი უილბერ ბრაკერი.

საგაგენტო აღნიშნავს, რომ სტივენსის გადადგომა გამოწვეულია „პირადი გარემოებებით".

დარბაზობანი ვ. მ. მოლოტოვთან

სან-ფრანცისკო, 24 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). 21 და 22 ივნისს საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმეები გამართა ინდონეზიის, ბირმის, პაკისტანის, ეგვიპტის, ირანის, სირიის, საბერძნეთის, თურქეთის, ავღანეთის, ეთიოპიის დელეგაციების მეთაურთათვის, აგრეთვე ფინეთის მეთვალყურისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან. ამ შეხვედრათა მსვლელობაში გამართულ საუბრებს მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

22 ივნისს საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა სადილი გამართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პიენე პატივსაცემად. სადილის დროს მოხდა აზრების გაცვლა მიმდინარე საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პატივსაცემად

სან-ფრანცისკო, 24 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). 23 ივნისს დღისით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პატივსაცემად.

საუზმის დროს მოხდა აზრთა გაცვლა მიმდინარე საერთაშორისო საკითხებზე.

საუზმეზე იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. დალესი, სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი დ. მაკარტური, სახელმწიფო მდივნის თანაშემწეები ლ. მერჩენტი და კ. მაკარდლი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჩ. ბოლენი.

საუზმეზე იყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე საბჭოთა დელეგაციის წევრები: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესია სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე (დილის სხდომაზე), სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ვ. მ. მოლოტოვის გარდა, გამოვიდნენ ფილიპინების, ირანის, კუბის, იემენის, იუგოსლავიისა და გვატემალის წარმომადგენლები.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეფთეზამმა თავის სიტყვაში კმაყოფილებით აღნიშნა საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება უკაზასკნელ თვეებში და იმედი გამოთქვა, რომ ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა მომავალი თათბირი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვითარების შემდგომ შემსუბუქებას და „ცივი ომის" დამთავრების მომასწავებელი იქნება. ეფთეზამმა სურვილი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი და პირველ რიგში დიდი სახელმწიფოები უფრო ხშირად მიმართავდნენ „შერიგებისა და უშუალო ურთიერთობის" მეთოდებს, ირანის წარმომადგენელმა რწმენა გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მომავალში უფრო დიდ როლს შეასრულებს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

კუბის წარმომადგენლის სიტყვამ გაკვირვება გამოიწვია დელეგატებს, სტუმრებსა და ჟურნალისტებს შორის, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ, რადგან ეს სიტყვა ჰგავდა „ცივი ომის" ანტისაბჭოთა ინიციატორების გაცვეთილი მონაკოურების გადამღერებას. სესიის თავმჯდომარემ ვან კლეფენსმა წესრიგისაკენ მოუწოდა კუბის უზომოდ ფიცხ დელეგატს და სთხოვა „უფრო ღირსეული ტონი" დაეცვა.

ფილიპინების წარმომადგენელმა რომულომ აზრი გამოთქვა, რომ უნდა გადაისინჯოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.

დილის სხდომაზე გამოსულმა იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა კოჩა პოპოვიჩმა ყველა სახელმწიფოს მოუწოდა დაიცვან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. მან განაცხადა, რომ „საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, რაც დაისახა იმ პრობლემების ნაწილობრივ გადაწყვეტის შედეგად, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში წამლავდნენ საერთაშორისო ატმოსფეროს, მალე გამოიწვევს საერთაშორისო ვითარების საერთო გაუმჯობესებას, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ორგანიზაციის ყოველი წევრი მიიღებს ყველა ღონისძიებას ამ მიზნის მისაღწევად". ამისათვის, განაგრძო იუგოსლავიის წარმომადგენელმა, საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფო ზუსტად იცავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს: პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ყველა ქვეყნის თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის, თვითგამორკვევის უფლების, ყოველგვარი აგრესიისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ყოველგვარი ჩარევის აკრძალვის, საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი კონსტრუქციული ღონისძიებების გზით გადაჭრის პრინციპებს. ყველა ქვეყანამ, თქვა პოპოვიჩმა, უნდა ითანამშრომლოს ურთიერთ შორის, დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური და სოციალური სისტემებისა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

შეეხო რა განიარაღების საკითხს, მან თქვა, რომ „ამასწინანდელი შერიგება თვალსაზრისებისა ამ საკითხში, განსაკუთრებით თუ მას მოჰყვა უთანხმოების შემდგომი შემცირება, საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების საქმეში შეტანილი წვლილი იქნება". ყოველივე ეს დაიჩქარებს სხვა ისეთი გადაუჭრელი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიც არის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება, კოლექტიური უშიშროების სისტემის დამყარება, დაბარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისა და რაიონებისადმი, საყოველთაო თანამშრომლობა ყველა დარგში, განსაკუთრებით ეკონომიურ დარგში, აგრეთვე ფორმოზისა და გერმანიის საკითხების გადაჭრას.

დღის სხდომაე გამოვიდნენ შვეიცის, ავსტრალიის, ერაყის, ვენესუელის, ტაილანდის, კოსტა-რიკის, ლუქსემბურგისა და პარაგვაის წარმომადგენლები. მათი უმრავლესობა თავიანთ სიტყვებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და განხორციელდეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრი უნდენი შეეხო საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზებს და ბევრი ყურადღება დაუთმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხს.

„გამოცდილებამ ცხადყო, — თქვა უნდენმა, — რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა მშვიდობის უზრუნველყოფაში იმ ფაქტით რთულდება, რომ მთავრობა, რომელიც უდავოდ მთელი ჩინეთის კონტინენტის ბატონ-პატრონია", ცნობილი არ არის ამ სახელმწიფოს წარმომადგენლად. „მე მსურს იმედი გამოვთქვა, — თქვა შვეიცის წარმომადგენელმა, — რომ ეს პრობლემა მალე გადაჭრება".

აღნიშნა რა საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის შენელება, უნდენმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებებმა „შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესახებ", „მგონია, ბოლო მოეღო ჩიხს განიარაღების კომისიაში და შესაძლებელი გახადა ნაყოფიერი განხილვა" ამ პრობლემისა.

ეროვნული კულტურის სასარგებლოდ

ხულო. (ხაკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ხულოს კულტურის რაიონული სახლი (დირექტორი ლ. თურნავა). კულტურის სახლთან შექმნილი აგიტბატარეული ბრიგადა მომსახურებას უწევს კოლმეურნეებს უშუალოდ მინდრებსა და პლანტაციებში, აგრეთვე სასოფლო კლუბებში. ბრიგადამ უკვე რამდენიმე კონცერტი გამართა რაიონის ისეთ მთა სოფლებში, რომელთაგან არის საციხური, აგარა და სხვ. ბრიგადას პროგრამაში აქვს სკეტჩები და მხატვრული კითხვა.

კულტურის სახლთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა დასადგმელად მოამზადა ვ. გუნიას ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „და-ძმა". კულტურის სახლმა ეს ახალი სპექტაკლი ამას წინათ უჩვენა საციხურელ კოლმეურნეებს. აქ სპექტაკლს 600 კაცი დაესწრო. „და-ძმას" დადგმა ეკუთვნით შ. ინასარიძეს და ლ. თურნავას.

აგიტბატარეული ბრიგადა რაიონის სოფლებში ყოფნისას კოლმეურნეობებთან აწყობს საუბრებს, ამას წინათ რაიონის ცენტრში კულტურის სახლმა მოაწყო ათეისტური საღამო. მოხსენების შემდეგ მაყურებლებს უჩვენეს მ. გოგიაშვილის პიესა „უკანასკნელი წმინდანი".

კულტურის სახლში მოწყობილია მშვიდობისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი „კულტურისაკენ", რომელიც ასახავს რაიონის ცენტრისა და საკოლმეურნეო სოფლების კულტურულ ცხოვრებას.

განცხადებათა მიღება თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში

21 ივნისს დაიწყო თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში განცხადებათა მიღება. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 12 ფაკულტეტზე მიიღებენ 800-მდე სტუდენტს, 1.000-ზე მეტი ახალი სტუდენტი მოვა კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტაციონარული წესვლისათვის. ამ მოამზადებენ 12 ახალი სპეციალობის ინჟინერებს, მათ შორის მაღნეულის გამდიდრების, მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიის, რადიოკავშირგამზომლობისა და რადიომაუწყებლობის და სხვა სპეციალობათა ინჟინერებს. 800 კაცით გადიდდება წარმოებას მუშაკთა რიცხვი, რომლებიც უმაღლეს ტექნიკურ განათლებას იღებენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

ათობით განცხადება შეიტანეს ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტსა და სხვა ინსტიტუტებში.

თბილისის უმაღლესი სასწავლებლები წელს სტაციონარული და საღამოს დაუსწრებელი სწავლისათვის მიიღებენ 6 ათასზე მეტ სტუდენტს. (საქდესი).

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 26 და 27 ივნისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით წვიმა, დანარჩენ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 13-18, დღისით 27-32 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 12-17, დღისით 22-27 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა. მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭეკი, დაბლობ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 14-19, დღისით 26-31 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 21-26 გრადუსი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს დამატებით შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. არაორგანული და ანალიზური ქიმიის კათედრის დოცენტი — 1. 2. სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების ტექნოლოგიაში კათედრის დოცენტი —1.

კონკურსის პირობები იხ. გაზ „კომუნისტის" 1955 წ. 28 მაისის ნომერში.

ცეკავშირის რესპუბლიკურ უნივერსალურ სავაჭრო ბაზას ესაჭიროება **მტვირთავი მუშები**

პირობებისათვის მიმართეთ: ცეკავშირის რესპუბლიკური უნივერსალური სავაჭრო ბაზის დირექტორს ან მის მოადგილეს დილის 9 საათიდან 18 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, ამანათუმნის ქ. № 4, ტელეფონი № 3-36-01.

„ბლავმეტალოსბიტის" საქართველოს კანტორა

აცხადებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ საქონლის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით 1955 წლის 1-დან 10 ივლისამდე წყვეტს საქონლის გაცემას თბილისის და ქუთაისის ლითონის საწყობებიდან. ამის გამო ა. წ. 1 ივლისამდე ხსენებული საწყობებიდან აწარმოებს ლითონის გაცემას I და II კვარტალის ფონდებ-თ მთლიანად და მესამე კვარტალის ფონდების -ანგარიშში ნაწილობრივ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დიდმის ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1955—56 სასწავლო წლისათვის პირველ და მესამე კურსზე.

ტექნიკუმში მიიღებიან 14-დან 30 წლამდე ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი.

ტექნიკუმი ამზადებს სოფლის მეურნეობის ტექნიკოს-მექანიკოსებს. სწავლის ვადა ოთხი წელია. პირველ კურსზე ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც მისალებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რუსულ ენაში (წერა კარნახით), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი). მათემატიკაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი).

ის პირები, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრეს ფრიადზე და დაჯილდოებულნი არიან ქების სიგელებით, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან პირველ კურსზე.

მესამე კურსზე ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც მისალებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი). სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 4 თვე.

ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დამთავრეს ოქროსა და ვერცხლის მედლით, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მესამე კურსზე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი სახუთების დართვით: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი 3 ცალი (ზომით 3×4), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის), პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად გამოცხადების დროს). განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე ტექნიკუმის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, გარეუბნის რაიონი, დიღმის მექანიზაციის ტექნიკუმი, სამხედრო გზის მე-12 კილომეტრზე.

მისაღები გამოცდები იწყობიმეს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. ყველა ჩარიცხული მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება ბინით და სტიპენდიით.

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის ინდივიდუალურ მსესხებელთა საყურადღებოდ

მოქალაქენი, რომლებმაც სესხი მიიღეს ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობაზე ან საკუთარი სახლის კაპიტალურ შეკეთებაზე, ვალდებული იყვნენ ვადაგადაცილებული და მეორე კვარტალის მორიგი შემოსატანი დაიფარათ ა. წ. 15 აპრილამდე.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა მსესხებლებმა არ უზრუნველყო დავალიანების აღნიშნულ დროზე დაფარვა.

საქართ